- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

*ბიზნესმოდელის შეფასება*

კომპანიის/ჯგუფის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის/ჯგუფის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- ▶ როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის/ჯგუფის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის/ჯგუფის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

*მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება*

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია/ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია/ჯგუფი მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

*გაუფასურება*

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალები როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი მოთხოვნებისთვის ასევე სახელშეკრულებო აქტივის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9-ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში კომპანია/ჯგუფი ახდენს მოთხოვნის გადაუხდელობის ალბათობის შეფასებას. იმისთვის, რომ კომპანიამ/ჯგუფმა განსაზღვროს მოთხოვნის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმოშობილი დეფოლტის შემთხვევაში.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც კომპანია/ჯგუფი იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზარდია საკრედიტო რისკი, კომპანია/ჯგუფი ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, კომპანია/ჯგუფი ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც კომპანია/ჯგუფი განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

*ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიები*

კომპანია/ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას ახდენს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ▶ ამორტიზირებული ღირებულება;
- ▶ რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

კომპანია/ჯგუფი არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს კლასიფიცირებულს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

*სხვა ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა***ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანია/ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

- ▶ კომპანია/ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია/ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის/ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის/ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

**ჩამოწერა**

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია/ჯგუფი შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

**ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში**

შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. ჯგუფი აფასებს შვილობილ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციის ამოღებადობას მაშინ, როდესაც გაუფასურების ნიშნები არსებობს. გაუფასურების ნიშნები შესაძლებელია შემოსავლების ან ფულადი ნაკადების კლებას ან არსებით უარყოფით ცვლილებებს მოიცავდეს საქმიანობის ქვეყნის ეკონომიკურ ან პოლიტიკურ გარემოში, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ამოღებადი არ არის.

იმ შემთხვევაში, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ შვილობილ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიცია შესაძლებელია გაუფასურდეს, შესაბამის ინვესტიციასთან დაკავშირებული მოსალოდნელი სამომავლო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები შედარდება მათ საბალანსო ღირებულებასთან, რათა დადგინდეს საჭიროა თუ არა მათი ჩამოფასება აღდგენით ღირებულებამდე.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება: ანგარიშწორებასთან დაკავშირებული ფული გზაში, სალაროსა და ბანკებში არსებული ნაღდი ფულის ნაშთებისგან, რომლებიც შესაძლოა კონვერტირდეს წინასწარ ცნობილ თანხებში, სამი თვის ვადაში, და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს და თავისუფლდება სახელმწიფოებრივ ვალდებულებებისაგან. ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის ნაშთები წარმოადგენს ფიზიკური პირების მიერ გადახდილ ფულად სახსრებს. აღნიშნული ნაშთები მოთავსებულია თვითმომსახურების ტერმინალებში, სალაროებში ან

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

გადარიცხულია ჯგუფის/კომპანიის საბანკო ანგარიშზე, როგორც კი ფიზიკური პირის მხრიდან განხორციელდება ტრანზაქცია, თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს გამოყენებით, დაკავშირებული მხარის ბანკი უგზავნის აღნიშნული ტრანზაქციის თანხას მერჩანტს, რის საფუძველზეც ხდება ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ვალდებულების აღიარება. ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ტრანზიტული ფულადი სახსრები თავდაპირველად თავსდება ჯგუფის/კომპანიის საბანკო ანგარიშზე, რომელიც გახსნილია დაკავშირებული მხარის ბანკში. რის შედეგადაც, აღნიშნული თანხები, გამოიყენება დაკავშირებული მხარის ბანკთან არსებული ვალდებულების დასაფარად, მომდევნო სამი დღის განმავლობაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში, რომელიც ფიზიკური პირების მიერ სალაროების მეშვეობით გადახდილ და ჯგუფის საბანკო ანგარიშზე განთავსებულ თანხებს წარმოადგენს იმ ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა.

**გაქვითვასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება**

ფიზიკური პირებისგან მიღებული ნაღდი ფული, ჩვეულებრივ, ყოველდღიურად გადაირიცხება ჯგუფის/კომპანიის საბანკო ანგარიშზე. პარალელურად, ჯგუფი/კომპანია გაქვითვასთან დაკავშირებული დავალიანებას აღიარებს. ფიზიკური პირების მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას, ჯგუფი/კომპანია თავის ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ დავალიანებას და ნაღდი ფულის ნაშთს გაქვითავს იმ ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა.

**დაბეგვრა**

ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, სხვა საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-19 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც საქართველოში მცხოვრები ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან, წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში აღირიცხება, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, იმის მიუხედავად, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში, შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რაც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არ წარმოეშვებათ. ჯგუფის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება მოგების განაწილებად ჩაითვალოს (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად აღირიცხება და მათი აღიარება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში ხდება.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)****ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის/კომპანიის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა გაცხადდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის.

პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა გაცხადდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

**სააქციო კაპიტალი**

ჯგუფის/კომპანიის ავტორიზებული სააქციო კაპიტალი ჯგუფის/კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება ჯგუფის/კომპანიის საკუთარ კაპიტალში ჯგუფის/კომპანიის მფლობელების მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

**დივიდენდები**

დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება.

**შემოსავლის აღიარება**

შემოსავალი განისაზღვრება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და არ მოიცავს მესამე მხარეთა სახელით მოკრებილ თანხებს. ჯგუფი/კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა იმ ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომელსაც კომპანია/ჯგუფი ელოდება ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მრავალ-ელემენტარული შეთანხმებების შემთხვევაში, ჯგუფი/კომპანია ინდივიდუალურ მომსახურებებს ცალკე-ცალკე აღრიცხავს, თუ ისინი განსხვავებულია (გამიჯვნადია). მთლიანი ანაზღაურება გადანაწილდება ცალკეულ მომსახურებებს შორის ამ მომსახურებების ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასის შესაბამისად. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება ფასთა ნუსხის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ჯგუფი/კომპანია ყიდის ოპერაციების დამუშავებისა და ტექნიკურ მომსახურებებს. კომპანია და ჯგუფი ნაადრევად გადავიდნენ ფასს 15-ზე - ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - საწყისი გადასვლის თარიღად აღებულია 2016 წლის 1 იანვარი.

შემოსავლების აღიარებამდე, აუცილებელია ასევე აღიარების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

***ოპერაციების დამუშავებიდან მიღებული შემოსავალი***

ჯგუფი/კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ოპერაციების დამუშავების მომსახურებას, რაც მოიცავს სს ჯორჯიან ქარდის ქსელში ჩართული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და სხვა ფინანსური/არაფინანსური ინსტიტუტების საბარათე ოპერაციების დამუშავებასა და მოვაჭრე სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ პირისგან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მეშვეობით და ამ

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

თანხების შემდგომ გადარიცხვას დაკავშირებული მხარის ბანკში, რომელიც იმავდროულად ურიცხავს თანხას მოვაჭრე სუბიექტებს გადახდის ოპერაციის დასრულებით თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მეშვეობით.

ოპერაციების დამუშავებიდან შემოსავლის მიღება ხდება მომსახურების საფასურის სახით, რომელიც განისაზღვრება ოპერაციის ღირებულების გარკვეული პროცენტის ოდენობით ან დამოუკიდებლად თითოეული ოპერაციისთვის. ასეთი შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულების ვალდებულების შესრულების შემდეგ.

*პერსონალიზაციის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი*

ჯგუფი/კომპანია პერსონალიზაციის მომსახურებიდან შემოსავალს ფინანსური და არაფინანსური დაწესებულებებისთვის განკუთვნილი პლასტიკური ბარათების გაცემისა და პერსონალიზაციის სანაცვლოდ იღებს.

*ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი*

კომპანია/ჯგუფი ტექნიკურ მომსახურებას უწევს ბანკს, რომელიც დაკავშირებული მხარეა და საკუთარი თვითმომსახურების და პოს ტერმინალები გააჩნია. კომპანია/ჯგუფი იღებს კონკრეტული აღჭურვილობის შეკეთების ვალდებულებას გაუმართაობის შემთხვევაში, რისთვისაც ყოველთვიურ ანაზღაურებას იღებს თითოეული თვითმომსახურების ტერმინალის შემთხვევაში.

შესაბამისად, ტექნიკური მომსახურებიდან შემოსავალს კომპანია/ჯგუფი იღებს ტექნიკური მომსახურების გაწევის მზაობისთვის მითითებულ დროის მონაკვეთში, და არა რეალურად გაწეული ტექნიკური მომსახურების შესაბამისად. მზაობის ვალდებულება სრულდება და შემოსავლის აღიარება ხდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში დროის გასვლის შესაბამისად.

**საპროცენტო შემოსავალი**

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული და დებიტორული დავალიანების სახით კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით აღირიცხება. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში ან უფრო მოკლე პერიოდში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების მიღების მიზნით. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

**უცხოური ვალუტის გადაფასება**

კომპანიის/ჯგუფის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო სავალუტო კურსსა და ოპერაციის დღეს სებ-ის მიერ დადგენილ სავალუტო კურსს შორის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო:

|                                                     | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|-----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| 1 USD/GEL                                           | 2.6894            | 2.7020            |
| 1 EUR/GEL                                           | 2.9753            | 2.8844            |
| <b>საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:</b> | <b>2023</b>       | <b>2022</b>       |
| 1 USD/GEL                                           | 2.6279            | 2.9156            |
| 1 EUR/GEL                                           | 2.8416            | 3.0792            |

**4. ახალი და შეცვლილი სტანდარტები**

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არის გამოცემული. კომპანია/ჯგუფი აპირებს მიიღოს აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

**ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).** ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს მატერიალური გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოსალოდნელია არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები**

ჯგუფი/კომპანია შეიმუშავებს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებს, ვარაუდებს და დაშვებებს მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები მუდმივად გადაიხედება, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები**

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული. გაუფასურების და ამორტიზაციის ხარჯები წარმოდგენილია მე-6 და მე-7 შენიშვნებში შესაბამისად.

**მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი**

ჯგუფი/კომპანია რეგულარულად გადახედავს ფულად მოთხოვნებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, ფასს 9-ით გათვალისწინებული რეზერვი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზეა დამოკიდებული, რომელიც მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობიდან გამომდინარეობს, თუ საკრედიტო რისკი წარმოქმნის შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაიზრდება. თუ ფინანსური აქტივი განიმარტება როგორც შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივი, ფულადი მოთხოვნების რეზერვი აქტივის საექსპლუატაციო ვადაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზეა დამოკიდებული.

დამატებითი დეტალები დებიტორული დავალიანების გაუფასურების შესახებ შენიშვნაში 10.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებების დინამიკა ასეთი იყო:

|                                       | თვითმომსახურების<br>ს ტერმინალები და<br>სათადარიგო<br>ნაწილები | მიწა და<br>შენობა-<br>ნაგებობები | ავიჯი და<br>მოწყობილობები | კომპიუტერული<br>ტექნიკა და<br>საოფისე<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარის<br>გაუმჯობესება | სხვა<br>აღჭურვილობა | სულ           |
|---------------------------------------|----------------------------------------------------------------|----------------------------------|---------------------------|------------------------------------------------------|-----------------------------|------------------------|---------------------|---------------|
| <b>თვითღირებულება</b>                 |                                                                |                                  |                           |                                                      |                             |                        |                     |               |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>17,827</b>                                                  | <b>999</b>                       | <b>571</b>                | <b>9,554</b>                                         | <b>1,525</b>                | <b>232</b>             | <b>1,838</b>        | <b>32,546</b> |
| შემოსვლები                            | 11                                                             | 14                               | 123                       | 669                                                  | 817                         | 47                     | -                   | 1,681         |
| გასვლები                              | (585)                                                          | -                                | (9)                       | (161)                                                | (100)                       | -                      | -                   | (855)         |
| ტრანსფერი                             | 53                                                             | -                                | (32)                      | 32                                                   | -                           | -                      | (53)                | -             |
| ჩამოწერები                            | -                                                              | -                                | (23)                      | (135)                                                | -                           | (31)                   | -                   | (189)         |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>17,306</b>                                                  | <b>1,013</b>                     | <b>630</b>                | <b>9,959</b>                                         | <b>2,242</b>                | <b>248</b>             | <b>1,785</b>        | <b>33,183</b> |
| შემოსვლები                            | 67                                                             | 154                              | 115                       | 2,080                                                | 1,582                       | 29                     | -                   | 4,027         |
| გასვლები                              | -                                                              | -                                | (5)                       | (123)                                                | (403)                       | -                      | -                   | (531)         |
| ტრანსფერი                             | 1,357                                                          | -                                | -                         | (1)                                                  | 1                           | -                      | (1,357)             | -             |
| ჩამოწერები                            | -                                                              | -                                | (19)                      | (48)                                                 | 22                          | -                      | -                   | (45)          |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>18,730</b>                                                  | <b>1,167</b>                     | <b>721</b>                | <b>11,867</b>                                        | <b>3,444</b>                | <b>277</b>             | <b>428</b>          | <b>36,634</b> |
| <b>დარიცხული ცვეთა და გაუფასურება</b> |                                                                |                                  |                           |                                                      |                             |                        |                     |               |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>11,802</b>                                                  | <b>66</b>                        | <b>314</b>                | <b>4,767</b>                                         | <b>525</b>                  | <b>142</b>             | <b>299</b>          | <b>17,915</b> |
| ცვეთის ხარჯი                          | 1,720                                                          | 11                               | 48                        | 1,453                                                | 366                         | 46                     | 222                 | 3,866         |
| გასვლები                              | (378)                                                          | -                                | (7)                       | (134)                                                | (78)                        | -                      | -                   | (597)         |
| ტრანსფერი                             | -                                                              | -                                | (16)                      | 16                                                   | -                           | -                      | -                   | -             |
| ჩამოწერები                            | -                                                              | -                                | (23)                      | (135)                                                | -                           | (31)                   | -                   | (189)         |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>13,144</b>                                                  | <b>77</b>                        | <b>316</b>                | <b>5,967</b>                                         | <b>813</b>                  | <b>157</b>             | <b>521</b>          | <b>20,995</b> |
| ცვეთის ხარჯი                          | 1,413                                                          | 24                               | 54                        | 1,449                                                | 645                         | 48                     | 221                 | 3,854         |
| გასვლები                              | -                                                              | -                                | (3)                       | (98)                                                 | (289)                       | -                      | -                   | (390)         |
| ტრანსფერი                             | 457                                                            | -                                | -                         | (1)                                                  | 1                           | -                      | (457)               | -             |
| ჩამოწერები                            | -                                                              | -                                | (19)                      | (48)                                                 | 22                          | -                      | -                   | (45)          |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>15,014</b>                                                  | <b>101</b>                       | <b>348</b>                | <b>7,269</b>                                         | <b>1,192</b>                | <b>205</b>             | <b>285</b>          | <b>24,414</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>    |                                                                |                                  |                           |                                                      |                             |                        |                     |               |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>4,162</b>                                                   | <b>936</b>                       | <b>314</b>                | <b>3,992</b>                                         | <b>1,429</b>                | <b>91</b>              | <b>1,264</b>        | <b>12,188</b> |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>3,716</b>                                                   | <b>1,066</b>                     | <b>373</b>                | <b>4,598</b>                                         | <b>2,252</b>                | <b>72</b>              | <b>143</b>          | <b>12,220</b> |

ჯგუფის სრულიად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 541 ათას ლარს (2022 წლის 31 დეკემბრისათვის: 745 ათასი ლარი).

ჯგუფის ძირითადი საშუალებები არაა დატვირთული მესამე მხარის სასარგებლოდ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი საშუალებების დინამიკა ასეთი იყო:

|                                       | თვითმომსახურების<br>ტერმინალები და<br>სათადარიგო ნაწილები | მიწა და შენობა-<br>ნაგებობები | ავეჯი და<br>მოწყობილობები | კომპიუტერული<br>ტექნიკა და საოფისე<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა<br>აღჭურვილობა | სულ           |
|---------------------------------------|-----------------------------------------------------------|-------------------------------|---------------------------|---------------------------------------------------|-----------------------------|---------------------|---------------|
| <b>თვითღირებულება</b>                 |                                                           |                               |                           |                                                   |                             |                     |               |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>1,834</b>                                              | <b>1,001</b>                  | <b>484</b>                | <b>9,058</b>                                      | <b>38</b>                   | <b>482</b>          | <b>12,897</b> |
| შემოსვლები                            | -                                                         | 14                            | 118                       | 623                                               | 109                         | -                   | 864           |
| ტრანფერი                              | 53                                                        | -                             | -                         | -                                                 | -                           | (53)                | -             |
| ჩამოწერები                            | -                                                         | -                             | (23)                      | (135)                                             | -                           | -                   | (158)         |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>1,887</b>                                              | <b>1,015</b>                  | <b>579</b>                | <b>9,546</b>                                      | <b>147</b>                  | <b>429</b>          | <b>13,603</b> |
| შემოსვლები                            | -                                                         | 154                           | 110                       | 2,013                                             | 352                         | -                   | 2,629         |
| ჩამოწერები                            | -                                                         | -                             | (20)                      | (122)                                             | -                           | -                   | (142)         |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>1,887</b>                                              | <b>1,169</b>                  | <b>669</b>                | <b>11,437</b>                                     | <b>499</b>                  | <b>429</b>          | <b>16,090</b> |
| <b>დარიცხული ცვეთა და გაუფასურება</b> |                                                           |                               |                           |                                                   |                             |                     |               |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>1,140</b>                                              | <b>66</b>                     | <b>279</b>                | <b>4,543</b>                                      | <b>31</b>                   | <b>114</b>          | <b>6,173</b>  |
| ცვეთის ხარჯი                          | 193                                                       | 11                            | 43                        | 1,357                                             | 7                           | 86                  | 1,697         |
| ჩამოწერები                            | -                                                         | -                             | (23)                      | (135)                                             | -                           | -                   | (158)         |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>1,333</b>                                              | <b>77</b>                     | <b>299</b>                | <b>5,765</b>                                      | <b>38</b>                   | <b>200</b>          | <b>7,712</b>  |
| ცვეთის ხარჯი                          | 193                                                       | 24                            | 48                        | 1,360                                             | 79                          | 86                  | 1,790         |
| ჩამოწერები                            | -                                                         | -                             | (20)                      | (122)                                             | -                           | -                   | (142)         |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>1,526</b>                                              | <b>101</b>                    | <b>327</b>                | <b>7,003</b>                                      | <b>117</b>                  | <b>286</b>          | <b>9,360</b>  |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>    |                                                           |                               |                           |                                                   |                             |                     |               |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>554</b>                                                | <b>938</b>                    | <b>280</b>                | <b>3,781</b>                                      | <b>109</b>                  | <b>229</b>          | <b>5,891</b>  |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>         | <b>361</b>                                                | <b>1,068</b>                  | <b>342</b>                | <b>4,434</b>                                      | <b>382</b>                  | <b>143</b>          | <b>6,730</b>  |

კომპანიის სრულიად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 141 ათას ლარს (2022 წლის 31 დეკემბრისათვის: 249 ათასი ლარი). კომპანიის ძირითადი საშუალებები არაა დატვირთული მესამე პირის სასარგებლოდ.

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

## 7. არამატერიალური აქტივები

|                               | ინდივიდუალური | კონსოლიდირებული |
|-------------------------------|---------------|-----------------|
| თვითღირებულება                |               |                 |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>15,584</b> | <b>16,417</b>   |
| შემოსვლები                    | 2,943         | 2,943           |
| გასვლები                      | (2,360)       | (2,360)         |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>16,167</b> | <b>17,000</b>   |
| შემოსვლები                    | 3,254         | 3,275           |
| გასვლები                      | (1,581)       | (1,589)         |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>17,840</b> | <b>18,686</b>   |
| დარიცხული ამორტიზაცია         |               |                 |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>5,776</b>  | <b>6,526</b>    |
| ამორტიზაციის ხარჯი            | 3,135         | 3,202           |
| გასვლები                      | (2,360)       | (2,361)         |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>6,551</b>  | <b>7,367</b>    |
| ამორტიზაციის ხარჯი            | 3,339         | 3,354           |
| გასვლები                      | (1,580)       | (1,587)         |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>8,310</b>  | <b>9,134</b>    |
| წმინდა საბალანსო ღირებულება   |               |                 |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>9,616</b>  | <b>9,633</b>    |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>9,530</b>  | <b>9,552</b>    |

ჯგუფის/ კომპანიის ძირითად არამატერიალურ აქტივებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს გადახდის სისტემებისათვის საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფასა და შესაბამის ლიცენზიებს.

## 8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური მარაგები

|                                           | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| სათადარიგო ნაწილები                       | 1,906             | 2,333             |
| სხვა                                      | 283               | 223               |
| <b>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები</b> | <b>2,189</b>      | <b>2,556</b>      |

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები

|                                           | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| სათადარიგო ნაწილები                       | 360               | 342               |
| სხვა                                      | 31                | 37                |
| <b>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები</b> | <b>391</b>        | <b>379</b>        |

ჯგუფის/კომპანიის მარაგები არა არის დატვირთული გირავნობით (იპოთეკით) მესამე პირის სასარგებლოდ.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**9. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები**

ჯგუფის მიერ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები ასე გამოიყურებოდა:

|                                                          | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|----------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საგადასახადო აქტივი                                      | 687               | 563               |
| მომსახურებებზე გადახდილი მოკლევადიანი ავანსები           | 151               | 666               |
| მარაგების შესაძენად გადახდილი მოკლევადიანი ავანსები      | 1,707             | 3                 |
| სხვა                                                     | 76                | 112               |
| <b>სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები</b> | <b>2,621</b>      | <b>1,344</b>      |

კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები ასე გამოიყურებოდა:

|                                                          | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|----------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საგადასახადო აქტივი                                      | 601               | 494               |
| მომსახურებებზე გადახდილი მოკლევადიანი ავანსები           | 78                | 89                |
| მარაგების შესაძენად გადახდილი მოკლევადიანი ავანსები      | 8                 | -                 |
| სხვა                                                     | 3                 | 28                |
| <b>სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები</b> | <b>690</b>        | <b>611</b>        |

კომპანიისა და ჯგუფის მიერ გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები ასე გამოიყურებოდა:

ავანსები ძირითადი და არამატერიალური აქტივების შესაძენად 31 დეკემბერი 2023 წლის მდგომარეობით 568 ათასი (2022: 218 ათასი) ლარი, როგორც ჯგუფისთვის, ისე ცალკე კომპანიისთვის.

**10. დებიტორული დავალიანება**

დებიტორული დავალიანება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშისათვის შემდეგია:

|                                           | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ | 2,477             | 2,673             |
| სხვა დებიტორული დავალიანებები             | 660               | 1,087             |
|                                           | <b>3,137</b>      | <b>3,760</b>      |
| გაუფასურების რეზერვი                      | (304)             | (197)             |
| <b>სულ დებიტორული დავალიანება, წმინდა</b> | <b>2,833</b>      | <b>3,563</b>      |

დებიტორული დავალიანება კომპანიის ფინანსური ანგარიშისათვის შემდეგია:

|                                           | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ | 980               | 925               |
| სხვა დებიტორული დავალიანებები             | 145               | 141               |
|                                           | <b>1,125</b>      | <b>1,066</b>      |
| გაუფასურების რეზერვი                      | (33)              | (61)              |
| <b>სულ დებიტორული დავალიანება, წმინდა</b> | <b>1,092</b>      | <b>1,005</b>      |

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები გონივრულად უახლოვდებოდა მათ სამართლიან ღირებულებებს. გადახდის ვადები 5-დან 30 კალენდარულ დღემდე მერყეობს.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**10. დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)**

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის დებიტორული ანგარიშები შესაბამისად 304 ათასი ლარისა და 197 ათასი ლარის თავდაპირველი საბალანსო ღირებულებით გაუფასურდა და სრულად დარეზერვდა, რაც სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯებში შევიდა.

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შემდეგია:

|                           | 2023       | 2022       |
|---------------------------|------------|------------|
| <b>ნაშთი 1 იანვარს</b>    | <b>197</b> | <b>192</b> |
| ანარიცხის ზრდა            | 148        | 5          |
| აღდგენა                   | (41)       | -          |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერს</b> | <b>304</b> | <b>197</b> |

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შემდეგია:

|                           | 2023      | 2022      |
|---------------------------|-----------|-----------|
| <b>ნაშთი 1 იანვარს</b>    | <b>61</b> | <b>51</b> |
| ანარიცხის ზრდა            | -         | 10        |
| აღდგენა                   | (28)      | -         |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერს</b> | <b>33</b> | <b>61</b> |

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ უმნიშვნელოა რადგან ჯგუფის /კომპანიის დებიტორული დავალიანების უდიდესი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში.

**11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

|                                                                  | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| გაქვითვასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები გზაში                 | 57,235            | 51,340            |
| ფულადი სახსრები განთავსებულ ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა | 39,290            | 25,003            |
| ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში                                       | 21                | 15                |
| <b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>                 | <b>96,546</b>     | <b>76,358</b>     |

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს განთავსებულ ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 38,136 ათას ლარს და 22,468 ათას ლარს.

გაქვითვასთან დაკავშირებული გზაში მყოფი ფულადი სახსრები წარმოადგენს ფიზიკური პირებისგან მიღებულ ნაღდ ფულს, ამ ფულის დაკავშირებული მხარის მომსახურე ბანკის ანგარიშზე განთავსებამდე.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები წარმოდგენილია 20-ე შენიშვნაში.

საპროცენტო შემოსავალი მცურავი საპროცენტო განაკვეთებით მიიღება, ბანკის ყოველდღიური სადეპოზიტო განაკვეთების მიხედვით. ჯგუფის ხელმძღვანელობა ზარალს არ ელის იმ ბანკის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სადაც შენატანები გაკეთდა. ამასთან, მათ საბალანსო ღირებულებასა და რეალურ საბაზრო ღირებულებას შორის არსებითი განსხვავება არ არის.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ უმნიშვნელოა რადგან ჯგუფის /კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების უდიდესი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**12. კაპიტალი**

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის/ჯგუფის გამოშვებული და გადახდილი სააქციო კაპიტალი 10,775,344 ჩვეულებრივი აქციისგან შედგებოდა, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება ერთი ლარი იყო (არაა დამრგვალებული ათასებში).

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის/ჯგუფის საემისიო კაპიტალი 6,477 ათას ლარს შეადგენს, რაც სრული საინვესტიციო ღირებულებას (16,752 ათასი ლარი) და 8,224 გამოშვებული აქციის ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას წარმოადგენს.

**შემოსავალი აქციაზე**

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება მოცემული წლისათვის ჯგუფის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა წმინდა მოგების შეფარდებით წლის განმავლობაში აქციონერთა მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან. ჯგუფის გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე უდრის საბაზისო შემოსავალს ერთ აქციაზე, რადგან ჯგუფს არ აქვს გაზავებადი პოტენციური ჩვეულებრივი აქციები.

ქვემოთ მოცემულია მოგებისა და აქციების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ერთ აქციაზე საბაზო შემოსავლის გამოსათვლელად:

|                                                             | 2023        | 2022        |
|-------------------------------------------------------------|-------------|-------------|
| ჩვეულებრივი აქციების მფლობელების წმინდა მოგება              | 21,324      | 13,852      |
| ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა             | 10,775,344  | 10,775,344  |
| <b>საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარი)</b> | <b>1.98</b> | <b>1.29</b> |

**13. კრედიტორული დავალიანება**

ჯგუფის კრედიტორული დავალიანება მოიცავს შემდეგს:

|                                                   | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ვალდებულება დაკავშირებულ მხარეებთან               | 54,629            | 51,943            |
| თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები           | 1,554             | 1,200             |
| ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალური აქტივებში | 640               | -                 |
| გადასახდელი თანხები                               | -                 | -                 |
| სხვა კრედიტორული დავალიანება                      | 448               | 367               |
| <b>სულ კრედიტორული დავალიანება</b>                | <b>57,271</b>     | <b>53,510</b>     |

კომპანიის კრედიტორული დავალიანება მოიცავს შემდეგს:

|                                                   | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები           | 963               | 759               |
| ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალური აქტივებში | 640               | -                 |
| გადასახდელი თანხები                               | -                 | -                 |
| ვალდებულება დაკავშირებულ მხარეებთან               | 11                | 69                |
| სხვა კრედიტორული დავალიანება                      | 153               | 96                |
| <b>სულ კრედიტორული დავალიანება</b>                | <b>1,767</b>      | <b>926</b>        |

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები ზომიერად მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ უმნიშვნელოა რადგან ჯგუფის /კომპანიის კრედიტორული დავალიანების უდიდესი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**14. იჯარა**

კომპანია/ჯგუფი როგორც მოიჯარე

კომპანიას/ჯგუფს გაფორმებული აქვს სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობის საიჯარო ხელშეკრულებები, რომელსაც საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში იყენებს. შენობა-ნაგებობების იჯარების ვადები განისაზღვრება როგორც 1-5 წელი.

კომპანიას/ჯგუფს ასევე აქვს გარკვეული შენობა-ნაგებობების იჯარები, რომელთა საიჯარო ვადაა 12 თვე ან ნაკლები და ასევე დაბალი-ღირებულების მქონე იჯარები. კომპანია/ჯგუფი იჯარების აღრიცხვისას იყენებს მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების აღარებიდან განთავისუფლებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ინდივიდუალური და კონსოლიდირებული საბალანსო ღირებულებები აქტივის გამოყენების უფლებების და მათი მოძრაობა 2023 და 2022 წლების განმავლობაში:

|                                       | ინდივიდუალური | კონსოლიდირებული |
|---------------------------------------|---------------|-----------------|
| <b>1 იანვარი 2022</b>                 | <b>821</b>    | <b>1,228</b>    |
| შემოსვლები                            | 14            | 176             |
| გასვლები                              | -             | (171)           |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>              | <b>835</b>    | <b>1,233</b>    |
| შემოსვლები                            | 4,136         | 4,291           |
| გასვლები                              | (72)          | (174)           |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>              | <b>4,899</b>  | <b>5,350</b>    |
| <b>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</b> |               |                 |
| <b>1 იანვარი 2022</b>                 | <b>396</b>    | <b>490</b>      |
| ცვეთის ხარჯი                          | 207           | 440             |
| გასვლები                              | -             | (171)           |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>              | <b>603</b>    | <b>759</b>      |
| ცვეთის ხარჯი                          | 395           | 624             |
| გასვლები                              | (67)          | (170)           |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>              | <b>931</b>    | <b>1,213</b>    |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება:</b>   |               |                 |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>              | <b>232</b>    | <b>474</b>      |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>              | <b>3,968</b>  | <b>4,137</b>    |

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია ჯგუფის და კომპანიის სალიზინგო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობა 2023 და 2022 წლებში:

|                          | ინდივიდუალური | კონსოლიდირებული |
|--------------------------|---------------|-----------------|
| <b>1 იანვარი 2022</b>    | <b>428</b>    | <b>766</b>      |
| შემოსვლები               | 14            | 176             |
| დარიცხული პროცენტი       | 21            | 41              |
| საკურსო სხვაობის ეფექტი  | (41)          | (78)            |
| გადახდები                | (194)         | (438)           |
| <b>31 დეკემბერი 2022</b> | <b>228</b>    | <b>467</b>      |
| შემოსვლები               | 4,136         | 4,289           |
| გასვლა                   | (4)           | (4)             |
| დარიცხული პროცენტი       | 85            | 105             |
| საკურსო სხვაობის ეფექტი  | 4             | (3)             |
| გადახდები                | (371)         | (607)           |
| <b>31 დეკემბერი 2023</b> | <b>4,078</b>  | <b>4,247</b>    |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**14. იჯარა (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულია 2023 წლის მოგება-ზარალში აღიარებული თანხები:

|                                             | ინდივიდუალური | კონსოლიდირებული |
|---------------------------------------------|---------------|-----------------|
| აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი    | 395           | 624             |
| საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი       | 85            | 105             |
| მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები | 72            | 802             |
| <b>სულ თანხა მოგება-ზარალში</b>             | <b>552</b>    | <b>1,531</b>    |

ქვემოთ მოცემულია 2022 წლის მოგება-ზარალში აღიარებული თანხები:

|                                             | ინდივიდუალური | კონსოლიდირებული |
|---------------------------------------------|---------------|-----------------|
| აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი    | 207           | 440             |
| საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი       | 21            | 41              |
| მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები | 9             | 248             |
| მცირეფასიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები | -             | 591             |
| <b>სულ თანხა მოგება-ზარალში</b>             | <b>237</b>    | <b>1,320</b>    |

**15. შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

ჯგუფი თავის მომხმარებლებს, სთავაზობს ოპერაციების დამუშავებისა და პერსონალიზაციის მომსახურებას, ასევე ქსელური ოპერაციების მომსახურებასა და ტექნიკურ მხარდაჭერას, რასაც სს „საქართველოს ბანკი-სთვის“ ახორციელებს თვითმომსახურების ტერმინალების ქსელის მეშვეობით, ხოლო სხვა კლიენტების შემთხვევაში - სალაროების მეშვეობით. ჯგუფმა შეაფასა, რომ მომსახურება მიწოდებულად ითვლება იმ დროს, როდესაც მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფის მიერ მოწოდებულ სერვისს.

*საკონტრაქტო აქტივები და ვალდებულებები*

ჯგუფმა აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

|                        | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|------------------------|-------------------|-------------------|
| დებიტორული დავალიანება | 2,833             | 3,563             |
| მიღებული ავანსები      | -                 | (3)               |

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

|                        | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|------------------------|-------------------|-------------------|
| დებიტორული დავალიანება | 1,092             | 1,005             |
| მიღებული ავანსები      | -                 | (3)               |

დებიტორული ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება.

ჯგუფი იყენებს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მეთოდს და არ წარადგენს განმარტებით შენიშვნებს შესასრულებელ ვალდებულებებზე განაწილებული ოპერაციის ღირებულების დაუკმაყოფილებელ აგრეგირებულ ოდენობას, რადგან ჯგუფს აქვს უფლება მომხმარებლისგან მიიღოს იმ ოდენობის საზღაური, რომელიც პირდაპირ შეესაბამება ჯგუფის მიერ კონკრეტული თარიღისთვის შესრულებული ვალდებულებების ღირებულებას მომხმარებლისთვის.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**16. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები**

ჯგუფის სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს შემდეგს:

|                                                         | 2023         | 2022         |
|---------------------------------------------------------|--------------|--------------|
| პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | 45           | 34           |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                              | 3,197        | 1,924        |
| <b>სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი</b>                   | <b>3,242</b> | <b>1,958</b> |

ჯგუფის სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგს:

|                                                                       | 2023          | 2022          |
|-----------------------------------------------------------------------|---------------|---------------|
| გამოყენებული მატერიალურ-საწარმოო მარაგების ღირებულება                 | 3,463         | 2,156         |
| რემონტი და ტექმომსახურება                                             | 3,446         | 3,450         |
| საკომუნიკაციო ხარჯი/ ქსელური მომსახურება                              | 1,541         | 1,373         |
| საოპერაციო გადასახადები                                               | 645           | 615           |
| კომუნალური ხარჯები                                                    | 531           | 525           |
| იჯარის მსგავსი მომსახურება განუსაზღვრელი სივრცით ან კონტრაქტის გარეშე | 528           | 506           |
| მცირეფასიან და მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები            | 346           | 342           |
| ფულის აკრეფის ხარჯი                                                   | 305           | 301           |
| მოპარული და დაზიანებული კუპონურები                                    | 177           | 138           |
| საკომისიოები                                                          | 169           | 147           |
| ტრანსპორტირების ხარჯი                                                 | 168           | 121           |
| საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები                             | 148           | 4             |
| პროფესიული მომსახურება                                                | 121           | 271           |
| აუდიტის ხარჯები                                                       | 57            | 46            |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                               | 646           | 443           |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯი</b>                                      | <b>12,291</b> | <b>10,438</b> |

კომპანიის სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები მოიცავს შემდეგს:

|                                                         | 2023       | 2022       |
|---------------------------------------------------------|------------|------------|
| საიჯარო შემოსავალი                                      | 379        | 360        |
| პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | 45         | 34         |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                              | 224        | 203        |
| <b>სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი</b>                   | <b>648</b> | <b>597</b> |

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგს:

|                                                       | 2023         | 2022         |
|-------------------------------------------------------|--------------|--------------|
| საკომუნიკაციო / ქსელური მომსახურება                   | 1,246        | 961          |
| შეკეთება და ტექნიკური მომსახურება                     | 1,106        | 1,526        |
| საოპერაციო გადასახადები                               | 565          | 554          |
| გამოყენებული მატერიალურ-საწარმოო მარაგების ღირებულება | 299          | 185          |
| კომუნალური ხარჯები                                    | 250          | 242          |
| ტრანსპორტირების ხარჯი                                 | 140          | 121          |
| პროფესიული მომსახურება                                | 110          | 271          |
| აუდიტის ხარჯები                                       | 29           | 24           |
| საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები             | 0            | 10           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                               | 395          | 191          |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯი</b>                      | <b>4,140</b> | <b>4,085</b> |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**17. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი**

ჯგუფის ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი მოიცავდა შემდეგს:

|                                                      | 2023          | 2022          |
|------------------------------------------------------|---------------|---------------|
| ხელფასები და სხვა სარგებელი                          | 11,467        | 9,448         |
| პრემიები ფულადი სახით                                | 1,567         | 1,202         |
| <b>სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი</b> | <b>13,034</b> | <b>10,650</b> |

კომპანიის ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი მოიცავდა შემდეგს:

|                                                      | 2023         | 2022         |
|------------------------------------------------------|--------------|--------------|
| ხელფასები და სხვა სარგებელი                          | 5,606        | 4,288        |
| პრემიები ფულადი სახით                                | 963          | 759          |
| <b>სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი</b> | <b>6,569</b> | <b>5,047</b> |

**18. დაბეგვრა**

2016 წლის ივნისში, საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ/ჯგუფმა მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2023 და 2022 წლებში, კომპანიას/ჯგუფს მოგება (დივიდენდები) არ გაუნაწილებია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანია/ჯგუფი საგადასახადო კანონმდებლობასთან არსებით შესაბამისობაშია, რაც აისახება მის საქმიანობაზე. თუმცა, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა შეიძლება განსხვავებული პოზიცია დაიკავონ განმარტებით საკითხებთან მიმართებაში. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფისთვის/კომპანიისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებს წარმოადგენს: საკრედიტო, ლიკვიდურობისა და საბაზრო რისკები.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**19. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები**  
**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ/ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან კონტრაგენტმა მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას/ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- **ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**  
2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა განათავსა 39,290 ათასი ლარი და 25,003 ათასი ლარი (კომპანიამ განათავსა 38,135 ათასი ლარი და 22,468 ათასი ლარი) შესაბამისი თანმიმდევრობით იმ ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა და რომელსაც Standard & Poor's - გან მინიჭებული აქვს BB/B რეიტინგი, Moody's კომპანიისგან - B1/NP (FC) & Ba2/NP (LC) რეიტინგი, ხოლო Fitch Ratings კომპანიისგან - BB- /B რეიტინგი.
- **დებიტორული დავალიანება**  
ჯგუფის და კომპანიის დებიტორული ანგარიშები ძირითადად ლარშია გამოხატული და მათი ვადა შეადგენს საანგარიშგებო თარიღიდან 3 თვეს. 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არცერთი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორული ანგარიში არ ყოფილა ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

**ლიკვიდურობის რისკი**

ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია/ჯგუფი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის/კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ჯგუფის ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| 2023                            | 1 წლამდე      | 1 წლის ზემოთ   | სულ           |
|---------------------------------|---------------|----------------|---------------|
| <b>ფინანსური აქტივები:</b>      |               |                |               |
| ფული და ფულის ეკვივალენტები     | 96,546        | -              | 96,546        |
| დებიტორული დავალიანებები        | 2,833         | -              | 2,833         |
|                                 | <b>99,379</b> | -              | <b>99,379</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები:</b> |               |                |               |
| საიჯარო ვალდებულებები           | 934           | 3,313          | 4,247         |
| კრედიტორული დავალიანებები       | 57,271        | -              | 57,271        |
|                                 | <b>58,205</b> | <b>3,313</b>   | <b>61,518</b> |
| <b>წმინდა პოზიცია</b>           | 41,174        | (3,313)        |               |
| <b>დაგროვილი სხვაობა</b>        | <b>41,174</b> | <b>(3,313)</b> | <b>37,861</b> |

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

## 19. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები (გაგრძელება)

კომპანიის ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| 2023                            | 1 წლამდე      | 1 წლის ზემოთ   | სულ           |
|---------------------------------|---------------|----------------|---------------|
| <b>ფინანსური აქტივები:</b>      |               |                |               |
| ფული და ფულის ექვივალენტები     | 38,136        | -              | 38,136        |
| დებიტორული დავალიანებები        | 1,092         | -              | 1,092         |
|                                 | <b>39,228</b> | -              | <b>39,228</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები:</b> |               |                |               |
| საიჯარო ვალდებულებები           | 765           | 3,313          | 4,078         |
| კრედიტორული დავალიანებები       | 1,767         | -              | 1,767         |
|                                 | <b>2,532</b>  | <b>3,313</b>   | <b>5,845</b>  |
| <b>წმინდა პოზიცია</b>           | <b>36,696</b> | <b>(3,313)</b> |               |
| <b>დაგროვილი სხვაობა</b>        | <b>36,696</b> | <b>(3,313)</b> | <b>33,383</b> |

ჯგუფის ლიკვიდურობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| 2022                            | 1 წლამდე      | 1 წლის ზემოთ | სულ           |
|---------------------------------|---------------|--------------|---------------|
| <b>ფინანსური აქტივები:</b>      |               |              |               |
| ფული და ფულის ექვივალენტები     | 76,358        | -            | 76,358        |
| დებიტორული დავალიანებები        | 3,563         | -            | 3,563         |
|                                 | <b>79,921</b> | -            | <b>79,921</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები:</b> |               |              |               |
| საიჯარო ვალდებულებები           | 202           | 265          | 467           |
| კრედიტორული დავალიანებები       | 53,510        | -            | 53,510        |
|                                 | <b>53,712</b> | <b>265</b>   | <b>53,977</b> |
| <b>წმინდა პოზიცია</b>           | <b>26,209</b> | <b>(265)</b> |               |
| <b>დაგროვილი სხვაობა</b>        | <b>26,209</b> | <b>(265)</b> | <b>25,944</b> |

კომპანიის ლიკვიდურობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| 2022                            | 1 წლამდე      | 1 წლის ზემოთ | სულ           |
|---------------------------------|---------------|--------------|---------------|
| <b>ფინანსური აქტივები:</b>      |               |              |               |
| ფული და ფულის ექვივალენტები     | 22,468        | -            | 22,468        |
| დებიტორული დავალიანებები        | 1,005         | -            | 1,005         |
|                                 | <b>23,473</b> | -            | <b>23,473</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები:</b> |               |              |               |
| საიჯარო ვალდებულებები           | 183           | 45           | 228           |
| კრედიტორული დავალიანებები       | 926           | -            | 926           |
|                                 | <b>1,109</b>  | <b>45</b>    | <b>1,154</b>  |
| <b>წმინდა პოზიცია</b>           | <b>22,364</b> | <b>(45)</b>  |               |
| <b>დაგროვილი სხვაობა</b>        | <b>22,364</b> | <b>(45)</b>  | <b>22,319</b> |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**19. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები (გაგრძელება)****საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. ჯგუფს არ გააჩნია არსებითი მგრძნობელობა სავალუტო რისკის მიმართ.

**20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

ბასს 24-ის მიხედვით (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები), მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს შესწევს მეორე მხარეზე კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის უნარი ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას, თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა კავშირის შინაარსს და არა მარტო მის სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება ისეთი გარიგებები აწარმოონ, როგორც არ აწარმოებდნენ დაუკავშირებელი მხარეები, და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება განხორციელდა „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები ჯგუფისთვის ასეთია:

|                                         | 31 დეკემბერი 2023 |                                      | 31 დეკემბერი 2022 |                                      |
|-----------------------------------------|-------------------|--------------------------------------|-------------------|--------------------------------------|
|                                         | სათავო კომპანია   | საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია | სათავო კომპანია   | საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია |
| <b>აქტივები</b>                         |                   |                                      |                   |                                      |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | -                 | 39,290                               | -                 | 25,003                               |
| მოთხოვნა საკრედიტო დაწესებულების მიმართ | -                 | 4,516                                | -                 | -                                    |
| დებიტორული ანგარიშები                   | -                 | 2,476                                | -                 | 2,675                                |
|                                         | -                 | <b>46,282</b>                        | -                 | <b>27,678</b>                        |
| <b>ვალდებულებები</b>                    |                   |                                      |                   |                                      |
| კრედიტორული დავალიანება                 | 31                | 54,633                               | 22                | 51,921                               |
| საიჯარო ვალდებულებები                   | 138               | -                                    | 361               | -                                    |
|                                         | <b>169</b>        | <b>54,633</b>                        | <b>383</b>        | <b>51,921</b>                        |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების ოდენობა კომპანიისთვის ასეთია:

|                            | 31 დეკემბერი 2023  |                                               | 31 დეკემბერი 2022  |                                               |
|----------------------------|--------------------|-----------------------------------------------|--------------------|-----------------------------------------------|
|                            | სათავო<br>კომპანია | საერთო<br>კონტროლის<br>ქვეშ მყოფი<br>კომპანია | სათავო<br>კომპანია | საერთო<br>კონტროლის<br>ქვეშ მყოფი<br>კომპანია |
| <b>აქტივები</b>            |                    |                                               |                    |                                               |
| ფული და მათი ეკვივალენტები | -                  | 38,136                                        | -                  | 22,468                                        |
| დებიტორული ანგარიშები      | -                  | 980                                           | -                  | 927                                           |
|                            | -                  | <b>39,116</b>                                 | -                  | <b>23,395</b>                                 |
| <b>ვალდებულებები</b>       |                    |                                               |                    |                                               |
| კრედიტორული დავალიანება    | 9                  | 2                                             | 12                 | 57                                            |
| საიჯარო ვალდებულებები      | 78                 | -                                             | 154                | -                                             |
|                            | <b>87</b>          | <b>2</b>                                      | <b>166</b>         | <b>57</b>                                     |

\* სათავო კომპანიის სვეტი შედგება სათავო კომპანია - სს „ექსპრეს ტექნოლოჯისტან“ არსებული ნაშთებისგან.

ზემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნული დებიტორული დავალიანება ძირითადად წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკისგან“ ოპერაციის დამუშავებისთვის მისაღებ თანხებს, რომელთა გადახდის ვადაც 5-დან 30 კალენდარულ დღემდე მერყეობს.

ზემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნული კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკისთვის“ გადასახდელ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ თანხებს, რომლებსაც ბანკი თავდაპირველად ურიცხავს მოვაჭრე სუბიექტებს, ფიზიკური პირების მიერ თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მეშვეობით გადახდის განხორციელების პარალელურად. ასეთი კრედიტორული დავალიანება, ჩვეულებრივ, 3 სამუშაო დღის ვადაში იფარება. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის მიერ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების მთლიანი ოდენობა:

|                                                   | 31 დეკემბერი 2023  |                                               | 31 დეკემბერი 2022  |                                               |
|---------------------------------------------------|--------------------|-----------------------------------------------|--------------------|-----------------------------------------------|
|                                                   | სათავო<br>კომპანია | საერთო<br>კონტროლის<br>ქვეშ მყოფი<br>კომპანია | სათავო<br>კომპანია | საერთო<br>კონტროლის<br>ქვეშ მყოფი<br>კომპანია |
| <b>გაყიდვები</b>                                  |                    |                                               |                    |                                               |
| შემოსავალი ოპერაციების დამუშავების მომსახურებიდან | -                  | 44,457                                        | -                  | 35,335                                        |
| შემოსავალი ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურებიდან   | -                  | 2,028                                         | -                  | 1,893                                         |
| შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებიდან         | -                  | 856                                           | -                  | 853                                           |
|                                                   | -                  | <b>47,341</b>                                 | -                  | <b>38,081</b>                                 |
| <b>სხვა საოპერაციო შემოსავლები</b>                |                    |                                               |                    |                                               |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                        | -                  | 170                                           | -                  | 162                                           |
|                                                   | -                  | <b>170</b>                                    | -                  | <b>162</b>                                    |
| <b>შესყიდვები და ხარჯები</b>                      |                    |                                               |                    |                                               |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                           | 186                | 695                                           | 427                | 645                                           |
|                                                   | <b>186</b>         | <b>695</b>                                    | <b>427</b>         | <b>645</b>                                    |
| <b>სხვა პუნქტები</b>                              |                    |                                               |                    |                                               |
| საპროცენტო შემოსავალი                             | -                  | 1,476                                         | -                  | 288                                           |
| საპროცენტო ხარჯი                                  | 11                 | -                                             | 27                 | 54                                            |
|                                                   | <b>11</b>          | <b>1,476</b>                                  | <b>27</b>          | <b>342</b>                                    |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

**20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მიერ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების მთლიანი ოდენობა:

|                                                   | 31 დეკემბერი 2023  |                                               | 31 დეკემბერი 2022  |                                               |
|---------------------------------------------------|--------------------|-----------------------------------------------|--------------------|-----------------------------------------------|
|                                                   | სათავო<br>კომპანია | საერთო<br>კონტროლის<br>ქვეშ მყოფი<br>კომპანია | სათავო<br>კომპანია | საერთო<br>კონტროლის<br>ქვეშ მყოფი<br>კომპანია |
| <b>გაყიდვები</b>                                  |                    |                                               |                    |                                               |
| შემოსავალი ოპერაციების დამუშავების მომსახურებიდან | -                  | 27,665                                        | -                  | 21,515                                        |
| შემოსავალი ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურებიდან   | -                  | 1,395                                         | -                  | 1,222                                         |
| შემოსავალი პერსონალიზაციის მომსახურებიდან         | -                  | 856                                           | -                  | 853                                           |
|                                                   | -                  | <b>29,916</b>                                 | -                  | <b>23,590</b>                                 |
| <b>სხვა საოპერაციო შემოსავლები</b>                |                    |                                               |                    |                                               |
| იჯარა                                             | -                  | 263                                           | -                  | 263                                           |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                        | -                  | 182                                           | -                  | 174                                           |
|                                                   | -                  | <b>445</b>                                    | -                  | <b>437</b>                                    |
| <b>შესყიდვები და ხარჯები</b>                      |                    |                                               |                    |                                               |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                           | 96                 | 39                                            | 96                 | 566                                           |
|                                                   | <b>96</b>          | <b>39</b>                                     | <b>96</b>          | <b>566</b>                                    |
| <b>სხვა პუნქტები</b>                              |                    |                                               |                    |                                               |
| საპროცენტო შემოსავალი                             |                    | 1,275                                         |                    | 288                                           |
| საპროცენტო ხარჯი                                  | 5                  |                                               | 15                 |                                               |
|                                                   | <b>5</b>           | <b>1,275</b>                                  | <b>15</b>          | <b>288</b>                                    |

2023 და 2022 წლებში ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 702 ათასი ლარი და 596 ათასი ლარი, შესაბამისი თანმიმდევრობით.

2023 და 2022 წლებში კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 510 ათასი ლარი და 398 ათასი ლარი, შესაბამისი თანმიმდევრობით.

**21. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდგომ არა-მაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2024 წლი 25 მარტს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 20 მლნ ლარის.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა სხვა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.



სს ჯორჯიან ქარდი

# ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

2023

## ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

### შესავალი

#### წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ სს „ჯორჯიან ქარდი“ ჯგუფის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ ჯგუფის საქმიანობა და მისწრაფება, გავზარდოთ ბიზნესის ხარისხი ეფექტურობის ზრდის პარალელურად.

დოკუმენტი მოიცავს ჯგუფის, მიღწეულ შედეგებს, ასევე მომავალში დასახულ მიზნებსა და განვითარების პოტენციალს. ამასთან ერთად, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას არსებული ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

ჯგუფის განვითარების კურსი მიმართულია ინოვაციების დანერგვაზე, ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ სს „ჯორჯიან ქარდის“ ჯგუფში ჩვენ გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი გამოწვევისათვის, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

### საქმიანობის მიმოხილვა

#### ჯგუფის შესახებ

სს „ჯორჯიან ქარდი“ წარმოადგენს საგადახდო მომსახურების ოპერატორს, რომელიც 1997 წლიდან ემსახურება ფინანსურ ინსტიტუტებს საქართველოში და ბაზარზე ლიდერის პოზიციას დღემდე ინარჩუნებს.

სს „ჯორჯიან ქარდის“ ჯგუფის სერვისები მოიცავს გადახდის ოპერაციების პროცესინგს, მათ შორის ბარათების პერსონალიზაციას, მობილური, ინტერნეტ და საბარათო გადახდებს. აღნიშნული უზრუნველყოფილია PCI DSS საერთაშორისო სტანდარტების მქონე ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რაც ტრანზაქციების სწრაფი და უსაფრთხო დამუშავების გარანტიაა.

კომპანია ფინანსური და არაფინანსური ინსტიტუტის სტრატეგიული პარტნიორია, მათ შორის არიან კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და საგადახდო მომსახურების პროვაიდერები. ინოვაციური გადაწყვეტილებებით სს „ჯორჯიან ქარდი“ მომხმარებელს მაღალტექნოლოგიურ ახალ პროდუქტებსა და სერვისებს სთავაზობს, რომლებიც უსაფრთხოების უახლესი სტანდარტებითა და საერთაშორისო საგადახდო სისტემების რეკომენდაციებით არის შემუშავებული.

სს „ჯორჯიან ქარდის“ ჯგუფი შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ 100%-იანი წილის მფლობელია, ხოლო ჯგუფის ძირითადი აქციონერია ჰოლდინგური კომპანია სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“, რომლის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, რომელიც დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე საჯარო ვაჭრობაში.

„დაირექტ დებიტ ჯორჯია“ 2006 წლის 7 მარტს ჩამოყალიბდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს გადახდის მომსახურებას სპეციალიზირებული სალაროების მეშვეობით, ასევე თვითმომსახურების ტერმინალების ხაზსა და მის სრულ ტექნიკურ მხარდაჭერას.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სერვისების მიმოხილვა

#### ტრანზაქციების დამუშავება

ტრანზაქციების დამუშავების სერვისი გულისხმობს სს „ჯორჯიან ქარდის“ ქსელში ჩართული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და სხვა ფინანსური/არაფინანსური ინსტიტუტების საბარათო ოპერაციების დამუშავებას; წვერი ინსტიტუტებისთვის საქლირინგე ინფორმაციის მიწოდებასა და რეპორტინგს; საერთაშორისო საგადახდო სისტემების უახლესი მოთხოვნების გათვალისწინებით წვერ ორგანიზაციებს შორის ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გაცვლას, (თაღლითური, გასაჩივრებული ოპერაციები), და მაკორექტირებელი ოპერაციების მონიტორინგსა და დამუშავებას.

#### ბარათების პერსონალიზაცია

სს „ჯორჯიან ქარდი“ ახორციელებს, როგორც საგადახდო, ასევე სხვადასხვა სახის ლოიალობის, საკლუბო, დაგროვების, იდენტიფიცირების და სხვა სახის ბარათების პერსონალიზაციას.

კომპანიის კუთვნილი თანამედროვე აპარატურა და სპეციალიზებული ტექნიკა საშუალებას იძლევა მოხდეს ბარათზე დიზაინის სრული და შეუზღუდავი დატანა, ასევე ნებისმიერი ტიპის ემბოსირება, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

#### ციფრული ბარათი

ვირტუალური საგადახდო ბარათი, რომელიც წარმოადგენს ფიზიკური ბარათის ციფრულ ფორმას, რომლის ემისიაც ხდება რეალური დროის რეჟიმში. იგი შესაძლებელს ხდის პლასტიკური ბარათის დამზადების გარეშე მომხმარებელმა: დაამატოს საგადახდო ინსტრუმენტი ელექტრონულ საფულეში, გამოიყენოს ის ბანკომატიდან თანხის გასანაღდებლად და გადაიხადოს როგორც ფიზიკურ, ისე ონლაინ მაღაზიებში.

ციფრული ბარათის მფობელებს ასევე შეუძლიათ მისი გაპლასტიკურება, რაც გულისხმობს უკვე არსებული ციფრული ბარათის მონაცემების დატანას ფიზიკურ პლასტიკზე და მის გამოყენებას ნებისმიერი საგადახდო არხის მეშვეობით.

#### 3D უსაფრთხოების სერვისი

სს „ჯორჯიან ქარდი“-ს სისტემაში დანერგილია საგადახდო ბარათების 3D უსაფრთხოების უზრუნველყოფის სერვისი, რომელშიც ჩართვა შესაძლებელია საპროცესინგოში გაერთიანებული და საგადახდო სისტემებში სერტიფიცირებული ფინანსური ინსტიტუტებისათვის.

3D უსაფრთხოების სერვისი წარმოადგენს უსაფრთხოების დამატებით ელემენტს სადებეტო და საკრედიტო ბარათებით ელექტრონული კომერციის ტრანზაქციების შესასრულებლად.

სერვისს გააჩნია , Visa Secure, MasterCard Identity Check და AMEX Safe Key-ის მხარდაჭერა და მის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ბარათის მფლობელის დაცვა არავტორიზებული და თაღლითური ოპერაციებისგან.

2023 წელს EMVCo-ს სტანდარტების შესაბამისად სს „ჯორჯიან ქარდში“ დანერგა უახლესი 3DS 2.2 ვერსია, რომელიც სრულად შესაბამისობაშია PSD2, Directive EU და მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის მოთხოვნებთან.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სერვისების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### რეკურენტული გადახდები

რეკურენტული, იგივე ავტომატურად განმეორებადი გადახდები წარმოადგენს ისეთი ტიპის ოპერაციებს, რომელიც ბარათის მფლობელს შესაძლებლობას აძლევს ავტომატურად მოახდინოს შერჩეული პროდუქციის თუ სერვისის ფასის თანხის გადახდა, ონლაინ. სავაჭრო წარმომადგენელთან წინასწარ დადგენილი პერიოდულობით, სერვისი, ხელს უწყობს როგორც ბარათის მფლობელის, ასევე თანხის მიმღების დროისა და თანხის დაზოგვას.

#### გადახდის უკონტაქტო აპლიკაციები

სს „ჯორჯიან ქარდი“ დანერგილია ბარათების ტოკენიზაციის (Tokenisation) სერვისი, როგორც Visa, ისე MasterCard-ის და American Express ტიპის ბარათებისთვის.

ტოკენიზაციის პროცესი გულისხმობს საბარათო მონაცემების ცვლილებას ციფრული ექვივალენტით, რომელსაც ცალკე არ წარმოადგენს სენსიტიურ ინფორმაციას..

ინფორმაციის ტოკენის ჩანაცვლება ამარტივებს მერჩანტებისთვის PCI სტანდარტებთან შესაბამისობაში ყოფნას, რამეთუ საცალო ვაჭრობის წარმომადგენლებს არ უწევთ სენსიტიური/საბარათო ინფორმაციის შენახვა, დაცვა და ამისთვის სტანდარტების შესაბამისი გარემოს მოწყობა.

მოცემული სერვისის საშუალებით ხელმისაწვდომი გახდა დამატებითი პროდუქტების შეთავაზება მომხმარებლისთვის:

სს „საქართველოს ბანკის“ VISA ბარათის მფლობელებს შესაძლებლობა აქვთ გადახდები Garmin-ის მაჯის საათით განახორციელონ. უკონტაქტო „ჰკვიანი საათით“ გადახდის მეთოდი სწრაფი, უსაფრთხო და კომფორტულია.

2019 წლიდან საქართველოს ბანკმა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადა გადახდის კიდევ ერთი ახალი მეთოდი - Apple Pay. მისი საშუალებით შესაძლებელია კომპანია Apple-ის პროდუქტების გამოყენებით გადახდის განხორციელება მომენტალურად.

Apple- Wallet-ის აპლიკაციაში VISA / Mastercard / American Express ბარათების დამატებით მომხმარებელს შეუძლია შეასრულოს:

- გადახდა სავაჭრო ობიექტებში და ინტერნეტ მაღაზიებში;
- გადახდა აპლიკაციებში;
- სასურველი თანხის განაღდება.

2022 წელს საქართველოს ბანკმა, ჯორჯიან ქარდთან ერთად, მომხმარებლებს კიდევ ერთი გადახდის ახალი და უსაფრთხო მეთოდი - Google Pay შესთავაზა. Google Wallet-ის საშუალებით მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცათ ანდროიდის სისტემის მობილური ტელეფონებით და საათებით გადახდა და ბანკომატიდან თანხის განაღდება განახორციელონ.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სერვისების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ტრანზაქციების მონიტორინგი

გადახდების სრული მენეჯმენტი და მონიტორინგი გულისხმობს:

- რეალურ დროში მიმდინარე ტრანზაქციებისა და პერიფერიული მოწყობილობების (POS-ტერმინალი, ელექტრონული კომერცია და ბანკომატი) მუდმივ მონიტორინგს;
- ტექნიკურ მხარდაჭერას 24/7 რეჟიმში;
- დისტანციურად პრობლემის მოგვარებას;
- ინტეგრაციას ნებისმიერი მესამე მხარის პროდუქტთან ტრანზაქციების მონიტორინგისთვის.

#### აპლიკაცია ტერმინალი - SOFTPOS

BOG TERMINAL APPLICATION (SOFTPOS) - ბანკი აძლევს საშუალებას მომხმარებლებს/მცირე მეწარმეებს რომლებიც იყენებენ ანდროიდის მოწყობილობას, შეძლონ POS ტერმინალის მომსახურების მიღება, დამატებით სხვა ფიზიკური მოწყობილობის გამოყენების გარეშე. POS-ის აპლიკაცია იტვირთება Play Store-დან და მომხმარებელი თვითონ არეგისტრირებს მის კომპანიას Soft POS-ზე შესაბამისი ინტერფეისიდან.

რეგისტრაციის პროცესი არის მარტივი და სწრაფი, ასევე სერვისი მოქნილია ისეთი კომპანიებისთვის, ვისაც უწევს გადაადგილება და მობილური გაყიდვები.

ახალი პროდუქტის მეშვეობით მომხმარებელი გადახდას შეძლებს ყველგან, (იქაც კი, სადაც მანამდე მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორება ხდებოდა). მომხმარებელი და ბიზნესის წარმომადგენელი შეძლებს გადახდები უნაღდო ანგარიშსწორებით განახორციელონ მარტივად, საბანკო ბარათის (Visa, MasterCard, Amex) და ანდროიდ მოწყობილობის მხოლოდ ერთი შეხებით.

#### PURE Card

PURE Card - ლოკალური ჩიპური ბარათი უკონტაქტო ტექნოლოგიით. აღნიშნულის დახმარებით ადგილობრივი საგადახდო მომსახურების პროვაიდერები კიდევ უფრო უსაფრთხო და მარტივ საგადახდო ინსტრუმენტს მიაწვდიან საკუთარ მომხმარებლებს და რაც მთავარია, უფრო მიმზიდველი იქნება ფინანსურად, ვიდრე საერთაშორისო სისტემების მიერ შეთავაზებული მომსახურება. პროდუქტი დაფუძნებულია PURE white label ტექნოლოგიაზე და აკმაყოფილებს უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, საერთაშორისო საგადასახდო სისტემების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათების ანალოგიურად.

#### MPGS Integration

MPGS Integration - Mastercard Payment Gateway Service - გადახდების პლატფორმა რომელიც გამოიყენება გლობალური, საერთაშორისო ქსელის მქონე მერჩანტების ჯორჯიან კარდის სისტემაში ჩასართავად.

ამ სერვისის ფარგლებში საქართველოს ბანკს საშუალება მიეცა საბარათო ოპერაციების დამუშავების მიმართულებით ითანამშრომლოს ისეთ საერთაშორისო ბრენდებთან, როგორიცაა Wolt, Bolt, Glovo. კერძოდ კი, დაამუშავოს საქართველოში ის ოპერაციები, რაც აქამდე მუშავდებოდა საერთაშორისო ექვირების გავლით. აღნიშნული ცვლილება, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და მომსახურებაში ჩართული კომპანიებისთვის ხარჯების შემცირებას.

2021 წელს MPGS პლატფორმას დაემატა რამდენიმე საერთაშორისო კომპანია.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სერვისების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### E.comm platform PGA4

ელ.კომერციის პლატფორმის განახლება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს EMVCo - ს მოთხოვნებს 3DS ავთენტიფიკაციასთან მიმართებაში და ასევე უფრო სწრაფი და გამარტივებული პროტოკოლით სთავაზობს პოტენციურ/არსებულ მერჩანტებს განახლებულ სერვისებს.

#### ODA

2021 წელს კომპანიაში არსებული ყველა მონაცემთა ბაზა დამიგრირდა Oracle Database Appliance-ზე. გადასვლის შედეგად 5-ჯერ შემცირდა მონაცემების დამუშავების დრო, რაც დადებითად აისახა პროცესინგის სტაბილურობაზე, განსაკუთრებით პიკური დატვირთვების დროს. შედეგად რადიკალურად შემცირდა ინციდენტების რაოდენობა. ODA-ზე გადასვლის პარალელურად დაინერგა ორაკლის მონაცემთა ბაზების Active – Standby კლასტერი, რაც ზრდის სისტემის და მონაცემების მდგრადობას. ყველა მონაცემთა ბაზა განახლდა მე-12 ვერსიიდან - მე-19 ვერსიამდე.

#### Emoney

2023 წელს სს ჯორჯიან ქარდის სისტემაში განხორციელდა ახალი წევრის Emoney-ს დამატება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა Emoney-ს მასტერქარდის სისტემაში ჩართვა ემისიის უფლებით, 3D გადახდების გამართვა და Gpay-ის სერთიფიცირება.

#### POS Terminal Service

2023 წელს სს ჯორჯიან ქარდმა დაირეკტ დებიტ ჯორჯიასგან სრულად გამოიბარა პოს-ტერმინალების მომსახურება. მიგრაციიდან 3 თვეში ჯორჯიან ქარდმა მომსახურების ხარისხი 7%-ით გააუმჯობესა და დაწლის ბოლოს 99,4% იანი მაჩვენებლით დახურა. ამ ეტაპზე ჯორჯიან ქარდი ემსახურება საქართველოს ბანკის 11,000-მდე პოს-ტერმინალს.

#### ATM QR

ATM QR - საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ბარათის/თოქენის გარეშე საქართველოს ბანკის მობაილ ბანკში არსებული QR კოდის დასკანერებით გაანაღდონ თანხა ბანკომატებიდან.

#### BNPL – Buy now Pay later

თანხის განაწილების სერვისი პოს-ტერმინალებში. აღნიშნული ფუნქციონალი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს განახორციელონ შესყიდვა, ხოლო თანხა გადაიხადონ ნაწილ ნაწილ წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით.

#### Fraud Management Module

მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის მოთხოვნებთან თავსებადობისთვის ჯორჯიან ქარდის დახმარებით საქართველოს ბანკში დაინერგა მომხმარებლის ქცევის და ტრანზაქციების სქოინგის სისტემა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს გააანალიზოს მომხმარებლის ქცევა, შეაფასოს ტრანზაქციები, აღმოაჩინოს მომხმარებლის ანომალიური ქცევა და მიიღოს გადაწყვეტილებები რისკებზე დაყრდნობით.

#### Data Lake

Data Lake-ის დანერგვით მოხდა ტრანზაქციების და საინფორმაციო მონაცემების ბანკის გარემოში გადაწერის ოპტიმიზაცია.

#### მრავალფუნქციური თვითმომსახურების ტერმინალები

ჯგუფში შემავალი კომპანია - „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ მართავს 3,200-მდე თვითმომსახურების ტერმინალის ქსელს, უზრუნველყოფს მის ტექნიკურ გამართულობას და ყოველდღიურ მოვლა-პატრონობას, მათ განთავსებას სტრატეგიულ და საზოგადოებისათვის საჭირო ლოკაციებზე.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სერვისების მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს მასშტაბით თითქმის ნებისმიერ წერტილში არსებული თვითმომსახურების ტერმინალები მორგებულია თანამედროვე ადამიანების მოთხოვნებზე და საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად მცირე დროში და მცირე ძალისხმევით შესაძლებელი გახადოს წვდომა ნებისმიერი ტიპის სერვისის საფასურის

გადახდაზე. თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით საგადახდო მომსახურების გაწევა ხდება შემდეგი კატეგორიის და კიდევ სხვა მრავალი სერვისის პროვაიდერისათვის:

- კომუნალური და საკაბელო ტელევიზიის პროვაიდერები;
- მობილური, სატელეფონო და ინტერნეტ ოპერატორები;
- სახელმწიფო ბიუჯეტში შემავალი გადასახადები;
- პარკინგი და სატრანსპორტო გადასახადი;
- საბანკო მომსახურება, როგორცაა დეპოზიტები, საკრედიტო და სხვა გადახდები;
- საქველმოქმედო შემოწირულობა;
- კინოს და თეატრისა თუ სხვა ღონისძიებების ბილეთები;

ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია, მრავალფუნქციური მომსახურების განახლება მუდმივად ხდება .

2016 წლიდან საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლებში შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ თვითმომსახურების ტერმინალებია განთავსებული ხოლო 2018 წლიდან ჩვენი მოლარე-ოპერატორები ემსახურებიან მომხმარებლებს „საქართველოს გაფორმების ეკონომიკურ ზონა“-ში. ამასთან, უკვე მრავალი წელია მხარს ვუჭერთ მერიის/მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო საშუალების საგადახდო მომსახურებას, რაც მოიცავს თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით სატრანსპორტო ბარათის ანგარიშის შევსებას.

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ასევე ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს სს „საქართველოს ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალთა ქსელს.

### კორპორაციული კლიენტები

2017 წლიდან ავტოგასამართი სადგურების უმსხვილეს ქსელებთან შეთანხმების შემდეგ, თვითმომსახურების ტერმინალები განთავსდა ყველა ობიექტზე ისეთ კლიენტებთან როგორცაა: Gulf Georgia, ლუკოილი, სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი და რომპეტროლი.

### მოლარე-ოპერატორები

ჯგუფმა მომსახურების ხარისხის და სწრაფი სერვისის მიღებისთვის, ერთი ფანჯრის პრინციპის სერვისი შექმნა, რაც გულისხმობს მოლარე-ოპერატორების განთავსებას იუსტიციის სახლებში, სერვისების განვითარების სააგენტოებსა და ბათუმის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში.

ერთ-ერთი ასეთი პროექტი – საჯარო რეესტრში სახელმწიფო სერვისების ყველა ტიპის გადახდების მიღება. აღნიშნული პროექტი 2006 წელს დაიწყო და დღემდე წარმატებით გრძელდება.

2011 მარტიდან დღემდე, შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალში“ სალაროების მეშვეობით ხდება საბაჟო მოსაკრებლის და სხვა სერვისების გადახდების მიღება.

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ სალაროების მეშვეობით ქმნის ეფექტურ და უსაფრთხო საგადახდო არხებს არამხოლოდ სახელმწიფო და საჯარო, არამედ სხვა კომერციული გადახდებისათვისაც.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### მოკლე ფინანსური მიმოხილვა

სს „ჯორჯიან ქარდი“ არის Bank of Georgia Group PLC -ს სტრუქტურაში შემავალი სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“-ის შვილობილი კომპანია. ჯგუფის გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე, დამფუძნებლის მოთხოვნის შესაბამისად, სს „ჯორჯიან ქარდი“-ს სააღრიცხვო პოლიტიკა დაარსებიდან ფასს სტანდარტებთან თანხვედრაშია. კომპანიას აუდიტორული მომსახურება გაუწია შპს „ნექსია თიეი“-მ. გამოქვეყნებული ანგარიშგება ასახავს 2023 და 2022 წლების ფინანსურ მდგომარეობას. ქვემოთ წარმოდგენილია მოკლე ფინანსური ინფორმაცია „ჯორჯიან ქარდის“ ჯგუფის შესახებ.

### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                                         | <u>2023</u> | <u>2022</u> |
|---------------------------------------------------------|-------------|-------------|
| მთლიანი აქტივები                                        | 135,182     | 106,334     |
| კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი | 73,558      | 52,234      |
| მთლიანი ვალდებულებები                                   | 61,624      | 54,100      |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი                           | 135,182     | 106,334     |

### სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                       | <u>2023</u> | <u>2022</u> |
|---------------------------------------|-------------|-------------|
| მთლიანი შემოსავალი                    | 53,186      | 42,340      |
| საოპერაციო ხარჯები                    | (33,157)    | (28,596)    |
| საოპერაციო შედეგი                     | 20,029      | 13,744      |
| სხვა ფინანსური შედეგები               | 1,295       | 108         |
| მოგება გადასახადების გადახდამდე       | 21,324      | 13,852      |
| მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი) | -           | -           |
| პერიოდის წმინდა მოგება                | 21,324      | 13,852      |

2023 წლის მონაცემებით ჯგუფის კაპიტალი გაიზარდა 21,324 მილიონი ლარით, ხოლო საერთო შემოსავლის ზრდამ შეადგინა 10,846 მილიონი ლარი.

### საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა

სს „ჯორჯიან ქარდი“ სერტიფიცირებულია MasterCard, VISA, American Express, Diners Club International, Discovery, JCB და Union Pay International-ის საერთაშორისო საგადახდო სისტემებთან.

„ჯორჯიან ქარდი“ სრულ შესაბამისობაშია EMV სტანდარტებთან როგორც კონტაქტური, ასევე უკონტაქტო ბარათებისთვის. სტანდარტი არის დამატებითი უსაფრთხოების საშუალება და ამცირებს თაღლითობასთან დაკავშირებულ რისკებს ბარათის ემიტენტებისთვის.

სს „ჯორჯიან ქარდი“ წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ პირველ სისტემის ოპერატორს, რომელიც საგადახდო ბარათის ინდუსტრიის მონაცემთა დაცვის სტანდარტებს (PCI DSS) შეესაბამება. 2010 წლიდან დღემდე წარმატებით გადის გლობალური საგადახდო დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის აუდიტს. PCI DSS-ის საფუძველზე შემუშავებული პოლიტიკისა და პროცედურების რეგულარული და თანმიმდევრული დაცვა ხელს უწყობს სს „ჯორჯიან ქარდს“ იყოს წევრი ორგანიზაციების სანდო პარტნიორი, უზრუნველყოს უსაფრთხო ტრანზაქციების განხორციელება და დაიცვას ბარათის მფლობელები მათი მონაცემების არამიზნობრივად გამოყენებისაგან.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### მოკლე ფინანსური მიმოხილვა (გაგრძელება)

სს „ჯორჯიან ქარდი“ ასევე VISA PIN Security პროგრამის წევრია, რომლის აუდიტი, PCI PIN Security, ამოწმებს ბარათის მფლობელის საიდენტიფიკაციო ნომრის (PIN) კრიპტოგრაფია/შიფრაციის გასაღებების და სხვა პირადი მონაცემების კონფიდენციალურობას საბარათო ოპერაციების შესრულების დროს. PCI PIN Security სერთიფიკატი ადასტურებს, რომ ინფრასტრუქტურა და სისტემაში ჩართული მოწყობილობების ექსპლუატაცია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მიმდინარეობს. კომპანიის საპროცესინგო სისტემა ფუნქციონირებს შეფერხებების გარეშე და უზრუნველყოფს პროცესების უწყვეტობას უსაფრთხოების სტანდარტების და პროცედურების სრული დაცვით უზრუნველყოფს. სასერვეროების დისტანცირება და სისტემის/მონაცემების დუბლირების/შენახვის პროცედურები სრულ შესაბამისობაშია, როგორცაა გადამოწმებული სისტემების სტანდარტებთან, ასევე მსოფლიო წამყვანი ტექნოლოგიური და ინფორმაციული კომპანიების რეკომენდაციებთან.

2019 წელს სს „ჯორჯიან ქარდი“ გახდა პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც PCI 3DS (Three - Domain Secure) სერვისის სერთიფიკატი მოიპოვა. 3D უსაფრთხოების დონე, მომხმარებელს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს დაცვის დამატებითი მექანიზმი ელექტრონული კომერციით(ინტერნეტით) განხორციელებული ტრანზაქციებისთვის. აღნიშნული სერვისით სარგებლობა VISA, Master Card, და American Express ტიპის საბანკო ბარათებითაა შესაძლებელი და Visa Secure, MasterCard Identity check , Amex Safe Key-ის მხარდაჭერა გააჩნია.

### სამომავლო გეგმები

ჯგუფში მუდმივად მიმდინარეობს სერვისების განახლება და ინოვაციების დანერგვა. ჩვენი მიზანია, სისტემაში ჩართული ყველა სუბიექტის მაქსიმალური დაცვა და მათთვის მარტივი და

სრულყოფილი სერვისის გაწევა, ამისათვის ყოველ წელს სს „ჯორჯიან ქარდი“ გადის უსაფრთხოებისა თუ სხვა სახის აუდიტურ შემოწმებებს, ჯგუფის მიზანია დავერგოთ მაქსიმალურად მაღალი სტანდარტები.

სამომავლოდ ჯგუფი გეგმავს უფრო მრავალფეროვანი გახადოს კლიენტებისათვის შეთავაზებული სერვისების ჩამონათვალი, ასევე გააფართოვოს მომხმარებელთა წრე და მაქსიმალურად შეეცადოს, რომ ინოვაციური პროექტებით დააინტერესოს ბიზნესის ყველა სფერო.

ამჟამად ჯგუფი მუშაობს სისტემის მდგრადობისა და ოპერაციების წარმადობის გაზრდაზე, რაც გააუმჯობესებს წარმადობას და მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს სისტემის წევრების მომსახურების ხარისხზე.

2024 წელს ასევე დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების დატაცენტრის მშენებლობა, რომელიც გაზრდის ჯორჯიან ქარდის IT ინფრასტრუქტურის სტაბილურობას და შეამცირებს პოტენციურ რისკებს.

ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ გაიზარდა სს ჯორჯიან ქარდის თანამშრომელთა რაოდენობა და დადგა ახალი, უფრო დიდი ოფისის საჭიროება. 2024 წელს დაგეგმილია ჯორჯიან ქარდის რელოკაცია თანამედროვე სტანდარტების ოფისში, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს შრომის უსაფრთხოების ნორმებს.

### ბაზრის მიმოხილვა

საგადახდო სისტემა და ზოგადად საგადახდო პლატფორმა მზარდი ინოვაციების ინდუსტრიაა, რომელიც ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად მრავალფეროვანი და უფრო მოთხოვნადი ხდება. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით 2023 წელს საქართველოში გამოშვებული

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბარათების რაოდენობამ შეადგინა 8,8 მილიონი ბარათი, რაც 13%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. ქართული საგადახდო ბარათებით ქვეყნის შიგნით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა 33%-ით, ხოლო თანხობრივი ბრუნვა 22%-ით გაიზარდა. 43%-ით არის გაზრდილი ქართული საგადახდო ბარათებით ქვეყნის გარეთ განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა და 39%-ით თანხობრივი ბრუნვა.

გადახდების ბიზნესის განვითარებასთან ერთად ბაზარზე ჩნდებიან ახალი ფინანსური ინსტიტუტები და სერვისის პროვაიდერები, რომელთაც სს „ჯორჯიან ქარდი“ აქტიურად ემუშავება სისტემაში ჩასართვად.

### რისკ - ფაქტორები

ისევე, როგორც ყველა ბიზნეს სუბიექტი სს „ჯორჯიან ქარდიც“ დგას მრავალი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო რისკის წინაშე. საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საოპერაციო რისკები და ასევე საბაზრო, კომერციული რისკების რეალიზებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის მატერიალურ ქონებასა და მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. ჯგუფს გააჩნია უმნიშვნელო სავალუტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვას. ჯგუფის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს მენეჯმენტი.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დასაფარი იყო 3 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები უტოლდებოდა მათ საბალანსო ღირებულებას.

ჯგუფი ყოველთვის ასრულებდა ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და არასდროს დამდგარა დეფოლტის წინაშე. ჯგუფი მომავალშიც შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

### რისკების მართვა

სს „ჯორჯიან ქარდი“ რისკების იდენტიფიცირება და მართვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, როგორც საოპერაციო და უსაფრთხოების რისკების მატერიალიზებით მიღებული ფინანსური ან რეპუტაციული დანაკარგების მინიმიზაციის, ისე ბიზნესის უწყვეტობისა და მაღალი მდგრადობის უზრუნველყოფის პროცესებში. აღნიშნულისთვის აუცილებელია ჯგუფს გააჩნდეს სწორად დაგეგმილი პროგრამა, რომელიც ცენტრალიზებულად მართავს ორგანიზაციაში არსებული კრიტიკული აქტივის იდენტიფიცირების, კატეგორიზაციისა და მათთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა, შეფასება-მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს.

ორგანიზაციის კომპლექსურობიდან გამომდინარე არსებობს მრავალი სახის რისკი და პირობა რომლებიც შესაძლოა ქმნიდნენ მოსალოდნელ ბარიერებსა და სირთულეებს საქმიანობის კონკრეტულ დარგსა თუ ასპექტში.

### რისკების მართვის სტრატეგია

რისკების მართვის სტრატეგია წარმოადგენს ორგანიზაციაში რისკების იდენტიფიცირების, საფრთხეებისა და სისუსტეების წყაროების დადგენის, გამოვლენისა და კონტროლის მიზნით განსახორციელებელ კოორდინირებულ მოქმედებებს ერთობლიობას. იგი ასახავს ორგანიზაციულ მიდგომებს შესაძლო რისკების მართვის უზრუნველსაყოფად, ახორციელებს არსებულ ბიზნეს გარემოში მიმდინარე

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

პროცესებზე დაკვირვებასა და მუდმივ ანალიზს, რათა მოხდეს რისკების დროული იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა.

სს „ჯორჯიან ქარდის“ რისკების მართვის სტრატეგია ემყარება საერთაშორისოდ აღიარებულ ISO, NIST, OCTAVE, სტანდარტების ნორმებსა და რეკომენდაციებს.

რისკების შეფასების პროცესი საწყის ეტაპზე განსაზღვრავს სამოქმედო არეალს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს, - როგორც სტრუქტურულ ერთეულში არსებულ ბიზნეს პროცესებს, ისე - ინფორმაციული და სხვა აქტივების ერთობლიობას, ხოლო შემდეგ კი პროცესების კრიტიკულობიდან გამომდინარე, ადგენს აქტივების მნიშვნელობას და ახდენს მათი პრიორიტეტულობის დადგენას.

### აქტივების იდენტიფიკაცია

აუცილებელია კომპანიის იმ ქონებისა და აქტივების იდენტიფიკაცია, რომელთა დაცვა ხდება პოტენციური საფრთხეების გავლენით წარმოქმნილი რისკებისაგან. იდენტიფიკაციისა და აღწერის ეტაპი ასევე მნიშვნელოვანია აქტივებში (როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური) არსებული სისუსტეების გამოსავლენად.

აქტივების იდენტიფიკაციისას მხედველობაში მიიღება ყველა ის აქტივი, რომელიც კავშირშია კრიტიკულ ბიზნეს პროცესებთან, მაგალითად, როგორც არის გადახდის არხები, ადამიანური რესურსი, ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები, რადგან თითოეულ მათგანს შეესაბამება ინდივიდუალური რისკის ტიპი.

კომპანია აწარმოებს აქტივების ინვენტარიზაციას, რომელიც რისკების მართვის სტრატეგიის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, ინვენტარიზაცია ხორციელდება სულ მცირე - წელიწადში ერთხელ ან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას.

### რისკების იდენტიფიკაცია

რისკების იდენტიფიკაციის მიზანია გამოვლინდეს თუ რა ფაქტორმა, როდის, როგორ და რა მასშტაბით შეიძლება იქონიოს გავლენა კომპანიის ქმედითუნარიანობაზე. რისკების იდენტიფიკაციის პროცესის მიზანია რისკების აღმოჩენა, რისკის წყაროების გამოვლენა და მათი აღწერა.

შესაბამისად, რისკების იდენტიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს ორგანიზაციაში არსებული ბიზნეს პროცესების, აქტივების, არსებული საფრთხეებისა და სისუსტეების ჯეროვან ცოდნას. რისკის იდენტიფიცირება სავალდებულოა ნებისმიერ შემთხვევაში (საფრთხის წყაროს განურჩევლად), სადაც საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს როგორც ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ, ისე - მის ფარგლებს გარეთ არსებული პროცესისგან.

### რისკების მონიტორინგი

რისკების მონიტორინგი წარმოადგენს რისკების მართვის პროცესის გეგმიურ ნაწილს. იგი ორიენტირებულია რისკების მართვის პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენაზე, მიდგომების ეფექტურობის შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში - მათ გაუმჯობესებაზე.

უწყვეტი მონიტორინგი აუმჯობესებს რისკების შეფასების, მათთან მოპყრობის და მართვის გეგმის შენარჩუნების პროცესს, ემსახურება ბიზნეს უწყვეტობაში არსებული რისკების დროულ იდენტიფიცირებას, ინციდენტებისადმი მოქნილობასა და შესაბამისობას.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რისკების მონიტორინგი ემსახურება ინფორმაციულ საფრთხეებთან და მოწყვლადობებთან დაკავშირებული სიახლეების შეუფერხებელ მიღებას, დანერგილი გადაწყვეტილებების გაუმჯობესების მიზნით.

რისკების მონიტორინგის სიხშირე დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიზნეს საჭიროებებზე და რისკების ტოლერანტობის დონეზე.

რისკების მონიტორინგის სტრატეგიის ჩამოყალიბებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ფაქტორებს:

- ბიზნეს პროცესების ცვლილებები
- საკანონმდებლო ცვლილებები
- ორგანიზაციისთვის რისკის შეფასების რიგითობის ცვლილებები
- IT არქიტექტურა
- ახალი საფრთხეები
- ახალი მოწყვლადობები

რისკების მონიტორინგის ღონისძიებები უნდა იყოს კოორდინირებული და ითვალისწინებდეს ყველა იმ რესურსს, რომელიც მასზე შეიძლება ახდენდეს პირდაპირ ან ირიბ გავლენას, მათ შორის: ადამიანები, დამხმარე ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია კომუნიკაციის მაღალი ეფექტურობა, რაც მიზნად ისახავს მონიტორინგის შედეგების გაზიარებას, როგორც სტრუქტურულ ერთეულებთან, ისე მესამე მხარეებთან, - რომელთა საქმიანობაზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს ძირითადად ან ნარჩენმა რისკმა. აუცილებელია მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის, ანალიზის შედეგების და გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დოკუმენტირება.

## რისკების შეფასება

რისკი წარმოადგენს საფრთხის წყაროს მიერ, - ორგანიზაციის კრიტიკულ აქტივზე, ისეთი ზემოქმედებისა და უარყოფითი გავლენის მატერიალიზების ალბათობის გამოთვლას, რომელმაც შესაძლოა არასასურველი შედეგი მოუტანოს ორგანიზაციას. რისკების განსაზღვრისას აუცილებელია მათი გაცნობიერება ბიზნეს პროცესების პერსპექტივიდან, კერძოდ:

- რა ტიპის საფრთხეები არსებობს ორგანიზაციისთვის;
- რა სახის ორგანიზაციული აქტივები საჭიროებს დაცვას;
- რამდენად დაუცველია ორგანიზაცია სხვადასხვა საფრთხეების მიმართ;
- საფრთხის დადგომის ალბათობა;
- საფრთხის დადგომის შემთხვევაში ორგანიზაციაზე გავლენის დონე;
- ორგანიზაციული გადაწყვეტილებები საფრთხის მართვის პროცესში;
- საფრთხის დადგომის ალბათობის შესამცირებლად (Mitigation);
- საფრთხის გადატანა მესამე პირზე (Transfer);
- საფრთხის აცილება (Avoidance);
- საფრთხის გაანალიზება და მიღება (Acceptance);

რისკების შეფასება გულისხმობს ბიზნეს პროცესებზე უარყოფითი გავლენის მქონე საფრთხეებისა და სისუსტეების გამოვლენას, რისკების პრიორიტიზირებას, კრიტიკული რისკებისა და ისეთი ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიზნეს კრიტიკული აქტივების (ინფორმაცია, ადამიანური რესურსი, ტექნიკური რესურსი, ა.შ.) დაცვაში.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### რისკებზე რეაგირება

#### რისკის მართვის მექანიზმები

რისკებისა და სისუსტეების დაიდენტიფიცირება/შეფასების შემდგომ აუცილებელია შემუშავდეს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია რისკების სრულად თავიდან აცილების ან მათი მინიმიზაციისაკენ.

კონტროლის მექანიზმი უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად და მისი დანერგვის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ეფექტურობა, არსებულ სისტემასთან ინტეგრაციის შესაძლებლობა, ხარჯები, ორგანიზაციული მიდგომები და პოლიტიკები, საკანონმდებლო ჩარჩო, გავლენა საოპერაციო საქმიანობაზე, ალტერნატივები, საერთაშორისო პრაქტიკა და გავრცელებული სპეციალიზებული სტანდარტები.

რისკებზე რეაგირების მიზნით სს „ჯორჯიან ქარდი“ იყენებს კონტროლის ორ ძირითად ტიპს, - აღმოჩენს და პრევენციულს. ერთის მხრივ, აღმოჩენი კონტროლის მექანიზმები მოქმედებს იწყებენ

დარღვევის მცდელობის დაფიქსირებისას და უზრუნველყოფენ შესაბამისი ჯგუფების ინფორმირებას შესაძლო მავნე ქმედების შესახებ. ხოლო მეორეს მხრივ, პრევენციული კონტროლის მექანიზმები ორიენტირებულია არიან დარღვევის მომენტშივე გააუვნებელყონ ან ზარიერი შეუქმნან პოტენციური რისკის შემცველ ქვედებს.

კონტროლის კატეგორიები მოიცავს შემდგომ მექანიზმებს: რისკის დონის შემცირება, პოტენციური რისკის აცილება, რისკის გადატანა/გაზიარება და რისკის გაანალიზების საფუძველზე - მისი მიღება.

პრევენციული და აღმოჩენი კონტროლების შემუშავებისათვის სს „ჯორჯიან ქარდი“ აწარმოებს რისკების პროფილების შედგენასა და მათზე რეაგირების სცენარების წინასწარ დაგეგმვას. აღნიშნული სცენარები მუდმივი გადახედვისა და განახლების საგანია.

#### მესამე მხარის რისკები

ორგანიზაციის საჭიროებამ - აწარმოოს საქმიანი პროცესები, მიიღოს მომსახურება ან ჰქონდეს ბიზნეს ურთიერთობა მესამე მხარესთან, შეიძლება პირდაპირი ან ირიბი სახით იქონიოს გავლენა, კომპანიაში არსებული რისკების დონეზე. ასეთი გავლენის მაგალითებია, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების რისკი, სერვისის ხელმისაწვდომობის - საოპერაციო ან რეპუტაციული რისკი, მესამე მხარეზე გადაცემული მონაცემების არასწორი მოპყრობის - შესაბამისობის ან მარეგულირებლის რისკი. მესამე მხარესთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელია რისკების მართვის სამი მთავარი სფერო: ახალი რისკის გაჩენა, ახალი ან არსებული რისკის გაზიარება ან რისკის მართვის/რისკზე პასუხისმგებლობის სრულად გადაცემა.

ორგანიზაციაში უნდა არსებობდეს რეგულარულად განახლებადი, ისეთი მესამე მხარეების სია, რომლებიც გავლენას ახდენენ საერთო რისკის დონეზე. აღნიშნული სიის განახლება უნდა ხდებოდეს -

მინიმუმ წელიწადში ერთხელ ან ნებისმიერი ახალი მხარის შემოსვლისას. ქვემოთ მოცემული სია წარმოადგენს მესამე მხარეების ტიპებს, რომელთაც პირველ რიგში უნდა მიექცეთ ყურადღება:

- აპლიკაციების დეველოპერი ან პროვაიდერები;
- სისტემების ჰოსტინგ (მონაცემთა ცენტრის) პროვაიდერები;
- მონაცემების ჰოსტინგ პროვაიდერები;
- ვებ-ჰოსტინგ პროვაიდერები;

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მონაცემების/ფიზიკური მოწყობილობების/მედია მოწყობილობების განადგურების სერვის პროვაიდერები;
- მართვადი სერვისების (IT, საოპერაციო, უსაფრთხოების) პროვაიდერები;
- სტრატეგიული ბიზნეს პარტნიორები ან კლიენტები;
- კონტრაქტორები.

მესამე მხარეებთან მიმართებაში, ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, როგორც პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების დარღვევების ხელშეკრულებების დონეზე, ისე მათი ჯეროვანი შესრულების კონტროლი.

### ცვალებადი სამართლებრივი რეგულირების გარემო

საგადახდო მომსახურების მომხმარებლის დასაცავად არამარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბებით იზრდება რეგულირების გამკაცრების მოთხოვნილება. რაც, ხშირ შემთხვევაში პირდაპირ იწვევს საგადახდო სისტემის მონაწილეთათვის საოპერაციო საქმიანობის გართულებას.

ცვლილებების პაკეტი ეტაპობრივად მტკიცდება ქვეყანაში და შესაბამისობაშია ევროკავშირის განახლებულ საგადახდო მომსახურების დირექტივის (The Revised Payment Services Directive (PSD2, Directive (EU) 2015/2366) ) მოთხოვნებთან.

ჯგუფისთვის განსაკუთრებულად საყურადღებო და მნიშვნელოვან სიახლეებს წარმოადგენს:

დია ბანკინგი - საბანკო ინფრასტრუქტურის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვა არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტებისათვის, რაც წახალისებს მაღალტექნოლოგიური ფინანსური სერვისების შექმნას და ამავდროულად კვლავინდებურად უზრუნველყოფს მომხმარებლების ფინანსებისა და ფინანსური ინფორმაციის დაცულობას.

მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია - წესი იმ სტანდარტებს განსაზღვრავს, რომლებიც მომხმარებელმა დისტანციური მომსახურებისას უნდა დაიცვას, კერძოდ გაიაროს ავთენტიფიკაცია ორ ან მეტ სხვადასხვა ელემენტზე დაყრდნობით, აღნიშნული რეგულირება მიმართულია საგადახდო მომსახურების მომხმარებლის დაცული ავთენტიფიკაციის უზრუნველყოფის, ასევე თაღლითობისა და სხვა უკანონო ქმედების რისკის შემცირებისაკენ, რაც, თავის მხრივ, აამაღლებს მომხმარებლების ნდობას საგადახდო მომსახურებებისა და უნაღდო გადახდების მიმართ.

## კორპორაციული მართვის ანგარიშგება

ჯგუფის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მიმართული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობისაკენ, სს „ჯორჯიან ქარდის“ საქმიანობას წარმართავს გენერალური დირექტორი, ვიგენ ბაღდასაროვი.

### გენერალური დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

ვიგენ ბაღდასაროვი სს „ჯორჯიან ქარდის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა 2023 წელს, თუმცა სს „საქართველოს ბანკში“ მისი მოღვაწეობა 2000 წლიდან იწყება. იგი ასევე იკავებს სს „საქართველოს ბანკის“

## კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

გადახდების მართვის დეპარტამენტის დირექტორის პოზიციას პროდუქტის განვითარების მიმართულებით. ვიგენ ბაღდასაროვი ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერების დიპლომს.

### სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

ჯგუფში შემავალი კომპანიების სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და

ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

სს „ჯორჯიან ქარდი“ პროდუქტების განვითარების მიმართულება ფუნქციონირებს ექაილის პრონციპებით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კომპანიის მომსახურებაში არსებულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა მიიღონ სწრაფი და ეფექტური მომსახურება.

სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამოჯენასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული შესაბამისი რესურსები.

### შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის მთავარ მიზანს წარმოადგენს პოლიტიკისა და პროცედურების შესრულების, დადგენილი სტანდარტების დაცვის, რესურსების პროდუქტიულად, ეფექტურად და ეკონომიურად გამოყენების, ამოცანების შესრულებისა და კომპანიის დასახული მიზნების მიღწევის შეფასება, ეფექტურობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების გაცემა და მენეჯმენტისათვის ანგარიშის ჩაბარება არებული რისკების მართვის, კონტროლისა და მართვის პროცესების ადეკვატურობის შესახებ.

### ჯგუფის პოლიტიკები

ჯგუფის პოლიტიკები შექმნილია საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

### ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განამტკიცოს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან

დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

- განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;
- ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;
- დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომფხვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;
- უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

## კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

### პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

### ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა

ინფორმაციული რესურსების გამოყენებაზე პრევენციული და დეტექციური კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ინფორმაციის არქიტექტურული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც გულისხმობს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით ინფორმაციის კლასიფიცირებას. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების დახარისხებას კონფიდენციალურობის დონის მიხედვით, წვდომისა და გამოყენების სხვა წესების შემუშავებას.

აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა კონფიდენციალურობის ოთხ კატეგორიად, ესენია - „საჯარო“, „შიდა მოხმარების“, „კონფიდენციალური“ და „სრულიად საიდუმლო“. ინფორმაციის მართვა რეგულირდება, აღნიშნული დონეების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციის მარკირების, გადაადგილების, წვდომის მინიჭების, შენახვისა და განადგურების წესებს.

### შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამოა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

### აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

სს „ჯორჯიან ქარდის“ 99,46%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“, ხოლო აქციონერთა უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტს.

სამეთვალყურეო საბჭო კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, ისევე, როგორც აქციონერთა კრება. აქციონერი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით.

რიგითი აქციონერთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

## არაფინანსური ანგარიშგება

### ბიზნესმოდელის მიმოხილვა

სს „ჯორჯიან ქარდი“ ოფისით ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. 106 და საქონტაქტო ინფორმაციით - ტელ : 0322 317 040 / ელ. ფოსტა info@gc.ge, მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა ქ. თბილისის კრწანისის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 17 იანვრის დადგენილებით. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნულ ბანკშიც, როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორი და შესაბამისად მისი ზედამხედველობის ობიექტია. აღნიშნულ სექტორში სს „ჯორჯიან ქარდი“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგადახდო სისტემის ოპერატორს.

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერია,

### ჩვენი გუნდი

სს „ჯორჯიან ქარდის“ ჯგუფის ფარგლებში დასაქმებულია 520-მდე თანამშრომელი. ჯგუფის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ჯგუფი

მაქსიმალურად ცდილობს თანამშრომლებს შეუქმნას ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის საჭირო პირობები.

თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომლის გამოვლენაცასახულია ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით.

ჯგუფი იზიარებს და იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე და მათგანაც ითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

### ჯანსაღი გარემო შრომისათვის

ვაცნობიერებთ, რომ თანამშრომლები ჩვენი წარმატების საწინდარია, ამიტომ ვცდილობთ განურჩევლად ყველას შევუქმნათ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

ჯგუფი მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია. სს „ჯორჯიან ქარდისა“ და შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემთა კატალოგების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

### ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

სს „ჯორჯიან ქარდის“ ჯგუფი იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების წესებს და ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისთვის.

ჯგუფის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

### კორუფციასთან ბრძოლა

ჯგუფის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. მაქსიმალურად მკაცრად ფასდება ნებისმიერი ქმედება თუ ტრანზაქცია, რომელიც

### არაფინანსური ანგარიშგება (გაგარძელება)

შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად ჯგუფი იყენებს საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

#### ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია სს „ჯორჯიან ქარდის“ მართვაზე უფლებამოსილი პირი - გენერალური დირექტორი.

ვიგენ ბაღდასაროვი

**არაფინანსური ანგარიშგება (გაგარძელება)**

შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად ჯგუფი იყენებს საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

**ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები**

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია სს „ჯორჯიან ქარდის“ მართვაზე უფლებამოსილი პირი - გენერალური დირექტორი.

ვიგენ ბაღდასაროვი



სს ჯორჯიან ქარდი

# კომპანიის მმართველობის ანგარიშგება

2023

## კომპანიის მმართველობის ანგარიშგება

### შესავალი

#### წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ სს „ჯორჯიან ქარდი“-ს 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობა და მისწრაფება, გავზარდოთ ბიზნესის ხარისხი ეფექტურობის ზრდის პარალელურად.

დოკუმენტი მოიცავს კომპანიის, მიღწეულ შედეგებს, ასევე მომავალში დასახულ მიზნებსა და განვითარების პოტენციალს. ამასთან ერთად, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას არსებული ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

კომპანიის განვითარების კურსი მიმართულია ინოვაციების დანერგვაზე, ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ სს „ჯორჯიან ქარდი“ ჩვენ გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი გამოწვევისთვის, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

## საქმიანობის მიმოხილვა

### კომპანიის შესახებ

სს „ჯორჯიან ქარდი“ წარმოადგენს საგადახდო მომსახურების ოპერატორს, რომელიც 1997 წლიდან ემსახურება ფინანსურ ინსტიტუტებს საქართველოში და ბაზარზე ლიდერის პოზიციას დღემდე ინარჩუნებს.

კომპანიის სერვისები მოიცავს გადახდის ოპერაციების პროცესინგს, მათ შორის ბარათების პერსონალიზაციას, მობილური, ინტერნეტ და საბარათე გადახდებს. აღნიშნული უზრუნველყოფილია PCI DSS საერთაშორისო სტანდარტების მქონე ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რაც ტრანზაქციების სწრაფი და უსაფრთხო დამუშავების გარანტიაა.

კომპანია ფინანსური და არაფინანსური ინსტიტუტების სტრატეგიული პარტნიორია, მათ შორის არიან კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და საგადახდო მომსახურების პროვაიდერები. ინოვაციური გადაწყვეტილებებით სს „ჯორჯიან ქარდი“ მომხმარებელს მაღალტექნოლოგიურ ახალ პროდუქტებსა და სერვისებს სთავაზობს, რომლებიც უსაფრთხოების უახლესი სტანდარტებითა და საერთაშორისო საგადახდო სისტემების რეკომენდაციებით არის შემუშავებული.

სს „ჯორჯიან ქარდი“-ს ძირითადი აქციონერი არის ჰოლდინგური კომპანია სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“, რომლის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, რომელიც დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე საჯარო ვაჭრობაში.

### სერვისების მიმოხილვა

#### ტრანზაქციების დამუშავება

ტრანზაქციების დამუშავების სერვისი გულისხმობს სს „ჯორჯიან ქარდის“ ქსელში ჩართული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და სხვა

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური/არაფინანსური ინსტიტუტების საბარათო ოპერაციების დამუშავებას; წვერი ინსტიტუტებისთვის საქლირინგე ინფორმაციის მიწოდებასა და რეპორტირებს; საერთაშორისო საგადახდო

სისტემების უახლესი მოთხოვნების გათვალისწინებით წვერ ორგანიზაციებს შორის ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გაცვლას, (თაღლითური, გასაჩივრებული ოპერაციები), და მაკორექტირებელი ოპერაციების მონიტორინგსა და დამუშავებას.

### ბარათების პერსონალიზაცია

სს „ჯორჯიან ქარდი“ ახორციელებს, როგორც საგადახდო, ასევე სხვადასხვა სახის ლოიალობის, საკლუბო, დაგროვების, იდენტიფიცირების და სხვა სახის ბარათების პერსონალიზაციას.

კომპანიის კუთვნილი თანამედროვე აპარატურა და სპეციალიზებული ტექნიკა საშუალებას იძლევა მოხდეს ბარათზე დიზაინის სრული და შეუზღუდავი დატანა, ასევე ნებისმიერი ტიპის ემბოსირება, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

### ციფრული ბარათი

ვირტუალური საგადახდო ბარათი, რომელიც წარმოადგენს ფიზიკურ ბარათის ციფრულ ფორმას, რომლის ემისიაც ხდება რეალური დროის რეჟიმში. იგი შესაძლებელს ხდის პლასტიკური ბარათის დამზადების გარეშე მომხმარებელმა: დაამატოს საგადახდო ინსტრუმენტი ელექტრონულ საფულეში, გამოიყენოს ის ბანკომატიდან თანხის გასანაღდებლად და გადაიხადოს როგორც ფიზიკურ, ისე ონლაინ მაღაზიებში.

ციფრული ბარათის მფლობელებს ასევე შეუძლიათ მისი გაპლასტიკურება, რაც გულისხმობს უკვე არსებული ციფრული ბარათის მონაცემების დატანას ფიზიკურ პლასტიკზე და მის გამოყენებას ნებისმიერი საგადახდო არხის მეშვეობით.

### 3D უსაფრთხოების სერვისი

სს „ჯორჯიან ქარდი“-ს სისტემაში დანერგილია საგადახდო ბარათების 3D უსაფრთხოების უზრუნველყოფის სერვისი, რომელშიც ჩართვა შესაძლებელია საპროცესინგოში გაერთიანებული და საგადახდო სისტემებში სერტიფიცირებული ფინანსური ინსტიტუტებისათვის.

3D უსაფრთხოების სერვისი წარმოადგენს უსაფრთხოების დამატებით ელემენტს სადებეტო და საკრედიტო ბარათებით ელექტრონული კომერციის ტრანზაქციების შესასრულებლად.

სერვისს გააჩნია Visa Secure, MasterCard Identity Check და AMEX Safe Key-ის მხარდაჭერა და მის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ბარათის მფლობელის დაცვა არავტორიზებული და თაღლითური ოპერაციებისგან.

2023 წელს EMVCo-ს სტანდარტების შესაბამისად სს ჯორჯიან ქარდში დაინერგა უახლესი 3DS 2.2 ვერსია, რომელიც სრულად შესაბამისობაშია PSD2, Directive EU და მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის მოთხოვნებთან.

### რეკურენტული გადახდები

რეკურენტული, იგივე ავტომატურად განმეორებადი გადახდები წარმოადგენს ისეთი ტიპის ოპერაციებს, რომელიც ბარათის მფლობელს შესაძლებლობას აძლევს ავტომატურად მოახდინოს შერჩეული პროდუქციის თუ სერვისის ფასის თანხის გადახდა, ონლაინ. სავაჭრო წარმომადგენელთან წინასწარ დადგენილი პერიოდულობით, სერვისი, ხელს უწყობს როგორც ბარათის მფლობელის, ასევე თანხის მიმღების დროისა და თანხის დაზოგვას.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სერვისების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### გადახდის უკონტაქტო აპლიკაციები

სს „ჯორჯიან ქარდი“ დანერგილია ბარათების ტოკენიზაციის (Tokenisation) სერვისი, როგორც Visa, ისე MasterCard-ის და American Express ტიპის ბარათებისთვის.

ტოკენიზაციის პროცესი გულისხმობს საბარათო მონაცემების ცვლილებას ციფრული ექვივალენტით, რომელსაც ცალკე არ წარმოადგენს სენსიტიური ინფორმაციას..

ინფორმაციის ტოკენის ჩანაცვლება ამარტივებს მერჩანტებისთვის PCI სტანდარტებთან შესაბამისობაში ყოფნას, რამეთუ საცალო ვაჭრობის წარმომადგენლებს არ უწევთ სენსიტიური/საბარათო ინფორმაციის შენახვა, დაცვა და ამისთვის სტანდარტების შესაბამისი გარემოს მოწყობა.

მოცემული სერვისის საშუალებით ხელმისაწვდომი გახდა დამატებითი პროდუქტების შეთავაზება მომხმარებლისთვის:

სს „საქართველოს ბანკის“ VISA ბარათის მფლობელებს შესაძლებლობა აქვთ გადახდები Garmin-ის მაჯის საათით განახორციელონ. უკონტაქტო „ჭკვიანი საათით“ გადახდის მეთოდი სწრაფი, უსაფრთხო და კომფორტულია.

2019 წლიდან საქართველოს ბანკმა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადა გადახდის კიდევ ერთი ახალი მეთოდი - Apple Pay. მისი საშუალებით შესაძლებელია კომპანია Apple-ის პროდუქტების გამოყენებით გადახდის განხორციელება მომენტალურად.

Apple- Wallet-ის აპლიკაციაში VISA / Mastercard / American Express ბარათების დამატებით მომხმარებელს შეუძლია შეასრულოს:

- გადახდა სავაჭრო ობიექტებში და ინტერნეტ მაღაზიებში;
- გადახდა აპლიკაციებში;
- სასურველი თანხის განაღდება.

2022 წელს საქართველოს ბანკმა, ჯორჯიან ქარდთან ერთად, მომხმარებლებს კიდევ ერთი გადახდის ახალი და უსაფრთხო მეთოდი - Google Pay შესთავაზა. Google Wallet-ის საშუალებით მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცათ ანდროიდის სისტემის მობილური ტელეფონებით და საათებით გადახდა და ბანკომატიდან თანხის განაღდება განახორციელონ.

#### ტრანზაქციების მონიტორინგი

გადახდების სრული მენეჯმენტი და მონიტორინგი გულისხმობს:

- რეალურ დროში მიმდინარე ტრანზაქციებისა და პერიფერიული მოწყობილობების (POS-ტერმინალი, ელექტრონული კომერცია და ბანკომატი) მუდმივ მონიტორინგს;
- ტექნიკურ მხარდაჭერას 24/7 რეჟიმში;
- დისტანციურად პრობლემის მოგვარებას;
- ინტეგრაციას ნებისმიერი მესამე მხარის პროდუქტთან ტრანზაქციების მონიტორინგისთვის.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სერვისების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### აპლიკაცია ტერმინალი - SOFTPOS

BOG TERMINAL APPLICATION (SOFTPOS) - ბანკი აძლევს საშუალებას მომხმარებლებს/მცირე მეწარმეებს რომლებიც იყენებენ ანდორიდის მოწყობილობას, შეძლონ POS ტერმინალის მომსახურების მიღება, დამატებით სხვა ფიზიკური მოწყობილობის გამოყენების გარეშე. POS-ის აპლიკაცია იტვირთება Play Store-დან და მომხმარებელი თვითონ არეგისტრირებს მის კომპანიას Soft POS-ზე შესაბამისი ინტერფეისიდან.

რეგისტრაციის პროცესი არის მარტივი და სწრაფი, ასევე სერვისი მოქნილია ისეთი კომპანიებისთვის ვისაც უწევს გადაადგილება და მობილური გაყიდვები.

ახალი პროდუქტის მეშვეობით მომხმარებელი გადახდას შეძლებს ყველგან, (იქაც კი, სადაც მანამდე მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორება ხდებოდა). მომხმარებელი და ბიზნესის წარმომადგენელი შეძლებს გადახდები უნაღდო ანგარიშსწორებით განახორციელონ მარტივად, საბანკო ბარათის (Visa, MasterCard, Amex) და ანდროიდ მოწყობილობის მხოლოდ ერთი შეხებით.

#### PURE Card

PURE Card - ლოკალური ჩიპური ბარათი უკონტაქტო ტექნოლოგიით. აღნიშნულის დახმარებით ადგილობრივი საგადახდო მომსახურების პროვაიდერები კიდევ უფრო უსაფრთხო და მარტივ საგადახდო ინსტრუმენტს მიაწვდიან საკუთარ მომხმარებლებს და რაც მთავარია, უფრო მიმზიდველი იქნება ფინანსურად, ვიდრე საერთაშორისო სისტემების მიერ შეთავაზებული მომსახურება. პროდუქტი დაფუძნებულია PURE white label ტექნოლოგიაზე და აკმაყოფილებს უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, საერთაშორისო საგადასახდო სისტემების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათების ანალოგიურად.

#### MPGS Integration

MPGS Integration - Mastercard Payment Gateway Service - გადახდების პლატფორმა რომელიც გამოიყენება გლობალური, საერთაშორისო ქსელის მქონე მერჩანტების ჯორჯიან კარდის სისტემაში ჩასართავად.

ამ სერვისის ფარგლებში საქართველოს ბანკს საშუალება მიეცა საბარათო ოპერაციების დამუშავების მიმართულებით ითანამშრომლოს ისეთ საერთაშორისო ბრენდებთან, როგორიცაა Wolt, Bolt, Glovo. კერძოდ კი, დაამუშავოს საქართველოში ის ოპერაციები, რაც აქამდე მუშავდებოდა საერთაშორისო ექვირების გავლით. აღნიშნული ცვლილება, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და მომსახურებაში ჩართული კომპანიებისთვის ხარჯების შემცირებას.

2021 წელს MPGS პლატფორმას დაემატა რამდენიმე საერთაშორისო კომპანია.

#### E.comm platform PGA4

ელ.კომერციის პლატფორმის განახლება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს EMVCo - ს მოთხოვნებს 3DS ავთენტიფიკაციასთან მიმართებაში და ასევე უფრო სწრაფი და გამარტივებული პროტოკოლით სთავაზობს პოტენციურ/არსებულ მერჩანტებს განახლებულ სერვისებს.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სერვისების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ODA

2021 წელს კომპანიაში არსებული ყველა მონაცემთა ბაზა დამიგრირდა Oracle Database Appliance-ზე. გადასვლის შედეგად 5-ჯერ შემცირდა მონაცემების დამუშავების დრო, რაც დადებითად აისახა პროცესინგის სტაბილურობაზე, განსაკუთრებით პიკური დატვირთვების დროს. შედეგად რადიკალურად შემცირდა ინციდენტების რაოდენობა. ODA-ზე გადასვლის პარალელურად დაინერგა ორაკლის მონაცემთა ბაზების Active – Standby კლასტერი, რაც ზრდის სისტემის და მონაცემების მდგრადობას. ყველა მონაცემთა ბაზა განახლდა მე-12 ვერსიიდან - მე-19 ვერსიამდე.

#### Emoney

2023 წელს სს „ჯორჯიან ქარდის“ სისტემაში განხორციელდა ახალი წევრის Emoney-ს დამატება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა Emoney-ს მასტერქარდის სისტემაში ჩართვა ემისიის უფლებით, 3D გადახდების გამართვა და Gpay-ის სერთიფიცირება.

#### POS Terminal Service

2023 წელს სს „ჯორჯიან ქარდმა“ დაირეკტ დებიტ ჯორჯიასგან სრულად გამოიბარა პოს-ტერმინალების მომსახურება. მიგრაციიდან 3 თვეში ჯორჯიან ქარდმა მომსახურების ხარისხი 7%-ით გააუმჯობესა და დაწლის ბოლოს 99,4% იანი მაჩვენებლით დახურა. ამ ეტაპზე ჯორჯიან ქარდი ემსახურება საქართველოს ბანკის 11,000-მდე პოს-ტერმინალს.

#### ATM QR

ATM QR - საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ბარათის/თოქენის გარეშე საქართველოს ბანკის მობაილ ბანკში არსებული QR კოდის დასკანერებით გაანაღდონ თანხა ბანკომატებიდან.

#### BNPL – Buy now Pay later

თანხის განაწილების სერვისი პოს-ტერმინალებში. აღნიშნული ფუნქციონალი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს განახორციელონ შესყიდვა, ხოლო თანხა გადაიხადონ ნაწილ ნაწილ წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით.

#### Fraud Management Module

მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის მოთხოვნებთან თავსებადობისთვის ჯორჯიან ქარდის დახმარებით საქართველოს ბანკში დაინერგა მომხმარებლის ქცევის და ტრანზაქციების სქოჩინგის სისტემა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს გააანალიზოს მომხმარებლის ქცევა, შეაფასოს ტრანზაქციები, აღმოაჩინოს მომხმარებლის ანომალიური ქცევა და მიიღოს გადაწყვეტილებები რისკებზე დაყრდნობით.

#### Data Lake

Data Lake-ის დანერგვით მოხდა ტრანზაქციების და საინფორმაციო მონაცემების ბანკის გარემოში გადაწერის ოპტიმიზაცია.

### მოკლე ფინანსური მიმოხილვა

სს „ჯორჯიან ქარდი“ არის Bank of Georgia Group PLC -ს სტრუქტურაში შემავალი სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“-ის შვილობილი კომპანია. ჯგუფის გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე, დამფუძნებლის მოთხოვნის შესაბამისად, სს „ჯორჯიან ქარდი“-ს სააღრიცხვო პოლიტიკა დაარსებიდან ფასს სტანდარტებთან თანხვედრაშია. კომპანიას აუდიტორული მომსახურება გაუწია შპს „ნექსია თიეი“-მ. გამოქვეყნებული ანგარიშგება ასახავს 2023 და 2022 წლების ფინანსურ მდგომარეობას. ქვემოთ წარმოდგენილია მოკლე ფინანსური ინფორმაცია სს „ჯორჯიან ქარდის“ შესახებ.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

|                                        | 2023   | 2022   |
|----------------------------------------|--------|--------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება     |        |        |
| მთლიანი აქტივები                       | 77,857 | 57,172 |
| კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი |        |        |
| მთლიანი კაპიტალი                       | 71,979 | 55,985 |
| მთლიანი ვალდებულებები                  | 5,878  | 1,187  |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი          | 77,857 | 57,172 |

|                                          | 2023     | 2022     |
|------------------------------------------|----------|----------|
| სრული შემოსავლის ანგარიშგება             |          |          |
| მთლიანი შემოსავალი                       | 31,123   | 24,818   |
| საოპერაციო ხარჯები                       | (16,233) | (14,171) |
| საოპერაციო შედეგი                        | 14,890   | 10,647   |
| სხვა ფინანსური შედეგები                  | 1,104    | 188      |
| მოგება (ზარალი) გადასახადების გადახდამდე | 15,994   | 10,835   |
| მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)    | -        | -        |
| პერიოდის წმინდა მოგება                   | 15,994   | 10,835   |

## საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა

სს „ჯორჯიან ქარდი“ სერტიფიცირებულია MasterCard, VISA, American Express, Diners Club International, Discovery, JCB და Union Pay International-ის საერთაშორისო საგადახდო სისტემებთან.

„ჯორჯიან ქარდი“ სრულ შესაბამისობაშია EMV სტანდარტებთან როგორც კონტაქტური, ასევე უკონტაქტო ბარათებისთვის. სტანდარტი არის დამატებითი უსაფრთხოების საშუალება და ამცირებს თაღლითობასთან დაკავშირებულ რისკებს ბარათის ემიტენტებისთვის.

სს „ჯორჯიან ქარდი“ წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ პირველ სისტემის ოპერატორს, რომელიც საგადახდო ბარათის ინდუსტრიის მონაცემთა დაცვის სტანდარტებს (PCI DSS) შეესაბამება. 2010 წლიდან დღემდე წარმატებით გადის გლობალური საგადახდო დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის აუდიტს. PCI DSS-ის საფუძველზე შემუშავებული პოლიტიკისა და პროცედურების რეგულარული და თანმიმდევრული დაცვა ხელს უწყობს სს „ჯორჯიან ქარდს“ იყოს წევრი ორგანიზაციების სანდო პარტნიორი, უზრუნველყოს უსაფრთხო ტრანზაქციების განხორციელება და დაიცვას ბარათის მფლობელები მათი მონაცემების არამიზნობრივად გამოყენებისაგან.

კომპანია ასევე VISA PIN Security პროგრამის წევრია, რომლის აუდიტი, PCI PIN Security, ამოწმებს ბარათის მფლობელის საიდენტიფიკაციო ნომრის (PIN) კრიპტოგრაფია/შიფრაციის გასაღებების და სხვა პირადი მონაცემების კონფიდენციალურობას საბარათო ოპერაციების შესრულების დროს. PCI PIN Security სერტიფიკატი ადასტურებს, რომ ინფრასტრუქტურა და სისტემაში ჩართული მოწყობილობების ექსპლუატაცია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მიმდინარეობს. კომპანიის

საპროცესინგო სისტემა ფუნქციონირებს შეფერხებების გარეშე და უზრუნველყოფს პროცესების უწყვეტობას უსაფრთხოების სტანდარტების და პროცედურების სრული დაცვით. სასერვეროების დისტანცირება და სისტემის/მონაცემების დუბლირების/შენახვის პროცედურები სრულ შესაბამისობაშია, როგორც საგადახდო სისტემების სტანდარტებთან, ასევე მსოფლიო წამყვანი ტექნოლოგიური და ინფორმაციული კომპანიების რეკომენდაციებთან.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

2019 წელს სს „ჯორჯიან ქარდი“ გახდა პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც PCI 3DS (Three - Domain Secure) სერვისის სერტიფიკატი მოიპოვა. 3D უსაფრთხოების დონე, მომხმარებელს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს დაცვის დამატებითი მექანიზმი ელექტრონული კომერციით (ინტერნეტით) განხორციელებული ტრანზაქციებისთვის. აღნიშნული სერვისით სარგებლობა VISA, Master Card, და American Express ტიპის საბანკო ბარათებითაა შესაძლებელი და Visa Secure, MasterCard Identity check , Amex Safe Key-ის მხარდაჭერა გააჩნია.

### სამომავლო გეგმები

სს „ჯორჯიან ქარდში“ მუდმივად მიმდინარეობს სერვისების განახლება და ინოვაციების დანერგვა. ჩვენი მიზანია, სისტემაში ჩართული ყველა სუბიექტის მაქსიმალური დაცვა და მათთვის მარტივი და სრულყოფილი სერვისის გაწევა, ამისათვის ყოველ წელს სს „ჯორჯიან ქარდი“ გადის უსაფრთხოებისა თუ სხვა სახის აუდიტურ შემოწმებებს, კომპანიის მიზანია დავნერგოთ მაქსიმალურად მაღალი სტანდარტები.

სამომავლოდ კომპანია გეგმავს უფრო მრავალფეროვანი გახადოს კლიენტებისათვის შეთავაზებული სერვისების ჩამონათვალი, ასევე გააფართოვოს მომხმარებელთა წრე და მაქსიმალურად შეეცადოს, რომ ინოვაციური პროექტებით დააინტერესოს ბიზნესის ყველა სფერო.

ამჟამად კომპანია მუშაობს სისტემის მდგრადობისა და ოპერაციების წარმადობის გაზრდაზე, რაც გააუმჯობესებს წარმადობას და მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს სისტემის წევრების მომსახურების ხარისხზე.

2024 წელს ასევე დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების დატაცენტრის მშენებლობა, რომელიც გაზრდის ჯორჯიან ქარდის IT ინფრასტრუქტურის სტაბილურობას და შეამცირებს პოტენციურ რისკებს.

ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ გაიზარდა სს ჯორჯიან ქარდის თანამშრომელთა რაოდენობა და დადგა ახალი, უფრო დიდი ოფისის საჭიროება. 2024 წელს დაგეგმილია ჯორჯიან ქარდის რელოკაცია თანამედროვე სტანდარტების ოფისში, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს შრომის უსაფრთხოების ნორმებს.

### ბაზრის მიმოხილვა

საგადახდო სისტემა და ზოგადად საგადახდო პლატფორმა მზარდი ინოვაციების ინდუსტრიაა, რომელიც ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად მრავალფეროვანი და უფრო მოთხოვნადი ხდება. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით 2023 წელს საქართველოში მიმოქცევაში არსებული ბარათების რაოდენობამ შეადგინა 8,8 მილიონი ბარათი, რაც 13%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, ქართული საგადახდო ბარათებით ქვეყნის შიგნით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა 33%-ით, ხოლო თანხობრივი ბრუნვა 22%-ით გაიზარდა. 43%-ით არის გაზრდილი ქართული საგადახდო ბარათებით ქვეყნის გარეთ განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა და 39%-ით თანხობრივი ბრუნვა.

გადახდების ბიზნესის განვითარებასთან ერთად ბაზარზე ჩნდებიან ახალი ფინანსური ინსტიტუტები და სერვის პროვაიდერები, რომელთაც სს „ჯორჯიან ქარდი“ აქტიურად ემუშავება სისტემაში ჩასართვად.

### რისკ - ფაქტორები

ისევე, როგორც ყველა ბიზნეს სუბიექტი სს „ჯორჯიან ქარდიც“ დგას მრავალი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო რისკის წინაშე. საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან

დაკავშირებული საოპერაციო რისკები და ასევე საბაზრო, კომერციული რისკების რეალიზებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის მატერიალურ ქონებასა და მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. კომპანიას გააჩნია უმნიშვნელო სავალუტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს, რომ კომპანია ვერ შეძლებს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვას. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს მენეჯმენტი.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება დასაფარი იყო 3 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები უტოლდებოდა მათ საბალანსო ღირებულებას.

სს „ჯორჯიან ქარდი“ ყოველთვის ასრულებდა ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და არასდროს დამდგარა დეფოლტის წინაშე. კომპანია მომავალშიც შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები 2022 წელთან შედარებით გაიზარდა (2023: 21,545 ლარი; 2022: 16,548 ლარი)

## რისკების მართვა

სს „ჯორჯიან ქარდი“ რისკების იდენტიფიცირება და მართვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, როგორც საოპერაციო და უსაფრთხოების რისკების მატერიალიზებით მიღებული ფინანსური ან რეპუტაციული დანაკარგების მინიმიზაციის, ისე ბიზნესის უწყვეტობისა და მაღალი მდგრადობის უზრუნველყოფის პროცესებში. აღნიშნულისთვის აუცილებელია კომპანიას გააჩნდეს სწორად დაგეგმილი პროგრამა, რომელიც ცენტრალიზებულად მართავს ორგანიზაციაში არსებული კრიტიკული აქტივის იდენტიფიცირების, კატეგორიზაციისა და მათთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა, შეფასება-მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს.

ორგანიზაციის კომპლექსურობიდან გამომდინარე არსებობს მრავალი სახის რისკი და პირობა რომლებიც შესაძლოა ქმნიდნენ მოსალოდნელ ბარიერებსა და სირთულეებს საქმიანობის კონკრეტულ დარგსა თუ ასპექტში.

## რისკების მართვის სტრატეგია

რისკების მართვის სტრატეგია წარმოადგენს ორგანიზაციაში რისკების იდენტიფიცირების, საფრთხეებისა და სისუსტეების წყაროების დადგენის, გამოვლენისა და კონტროლის მიზნით განსაზღვრულ კოორდინირებულ მოქმედებებს ერთობლიობას. იგი ასახავს ორგანიზაციულ მიდგომებს შესაძლო რისკების მართვის უზრუნველსაყოფად, ახორციელებს არსებულ ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებასა და მუდმივ ანალიზს, რათა მოხდეს რისკების დროული იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა.

სს „ჯორჯიან ქარდის“ რისკების მართვის სტრატეგია ემყარება საერთაშორისოდ აღიარებულ ISO, NIST, OCTAVE, სტანდარტების ნორმებსა და რეკომენდაციებს.

რისკების შეფასების პროცესი საწყის ეტაპზე განსაზღვრავს სამოქმედო არეალს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს, - როგორც სტრუქტურულ ერთეულში არსებულ ბიზნეს პროცესებს, ისე - ინფორმაციული და სხვა აქტივების ერთობლიობას, ხოლო შემდეგ კი პროცესების კრიტიკულობიდან

გამომდინარე, ადგენს აქტივების მნიშვნელობას და ახდენს მათი პრიორიტეტულობის დადგენა.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

### აქტივების იდენტიფიკაცია

აუცილებელია კომპანიის იმ ქონებისა და აქტივების იდენტიფიკაცია, რომელთა დაცვა ხდება პოტენციური საფრთხეების გავლენით - წარმოქმნილი რისკებისაგან. იდენტიფიკაციისა და აღწერის ეტაპი ასევე მნიშვნელოვანია აქტივებში (როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური) არსებული სისუსტეების გამოსავლენად.

აქტივების იდენტიფიკაციისას მხედველობაში მიიღება ყველა ის აქტივი, რომელიც კავშირშია კრიტიკულ ბიზნეს პროცესებთან, მაგალითად, როგორც არის გადახდის არხები, ადამიანური რესურსი, ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები, რადგან თითოეულ მათგანს შეესაბამება ინდივიდუალური რისკის ტიპი.

კომპანია აწარმოებს აქტივების ინვენტარიზაციას, რომელიც რისკების მართვის სტრატეგიის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, ინვენტარიზაცია ხორციელდება სულ მცირე - წელიწადში ერთხელ ან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას.

### რისკების იდენტიფიკაცია

რისკების იდენტიფიკაციის მიზანია გამოვლინდეს თუ რა ფაქტორმა, როდის, როგორ და რა მასშტაბით შეიძლება იქონიოს გავლენა კომპანიის ქმედითუნარიანობაზე. რისკების იდენტიფიკაციის პროცესის მიზანია რისკების აღმოჩენა, რისკის წყაროების გამოვლენა და მათი აღწერა. შესაბამისად, რისკების იდენტიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს ორგანიზაციაში არსებული ბიზნეს პროცესების, აქტივების, არსებული საფრთხეებისა და სისუსტეების ჯეროვან ცოდნას. რისკის იდენტიფიცირება სავალდებულოა ნებისმიერ შემთხვევაში (საფრთხის წყაროს განურჩევლად), სადაც საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს როგორც ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ, ისე - მის ფარგლებს გარეთ არსებული პროცესისგან.

### რისკების მონიტორინგი

რისკების მონიტორინგი წარმოადგენს რისკების მართვის პროცესის გეგმიურ ნაწილს. იგი ორიენტირებულია რისკების მართვის პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენაზე, მიდგომების ეფექტურობის შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში - მათ გაუმჯობესებაზე.

უწყვეტი მონიტორინგი აუმაჯობებს რისკების შეფასების, მათთან მოპყრობის და მართვის გეგმის შენარჩუნების პროცესს, ემსახურება ბიზნეს უწყვეტობაში არსებული რისკების დროულ იდენტიფიცირებას, ინციდენტებისადმი მოქნილობასა და შესაბამისობას.

რისკების მონიტორინგი ემსახურება ინფორმაციულ საფრთხეებთან და მოწყვლადობებთან დაკავშირებული სიახლეების შეუფერხებელ მიღებას, დანერგილი გადაწყვეტილებების გაუმჯობესების მიზნით.

რისკების მონიტორინგის სიხშირე დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიზნეს საჭიროებებზე და რისკების ტოლერანტობის დონეზე.

რისკების მონიტორინგის სტრატეგიის ჩამოყალიბებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ფაქტორებს:

- ბიზნეს პროცესების ცვლილებები
- საკანონმდებლო ცვლილებები
- ორგანიზაციისთვის რისკის შეფასების რიგითობის ცვლილებები
- IT არქიტექტურა
- ახალი საფრთხეები
- ახალი მოწყვლადობები

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რისკების მონიტორინგის ღონისძიებები უნდა იყოს კოორდინირებული და ითვალისწინებდეს ყველა იმ რესურსს, რომელიც მასზე შეიძლება ახდენდეს პირდაპირ ან ირიბ გავლენას, მათ შორის: ადამიანები, დამხმარე ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია კომუნიკაციის მაღალი ეფექტურობა, რაც მიზნად ისახავს მონიტორინგის შედეგების გაზიარებას, როგორც სტრუქტურულ ერთეულებთან, ისე მესამე მხარეებთან, - რომელთა საქმიანობაზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს ძირითადად ან ნარჩენმა რისკმა. აუცილებელია მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის, ანალიზის შედეგების და გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დოკუმენტირება.

### რისკების შეფასება

რისკი წარმოადგენს საფრთხის წყაროს მიერ, - ორგანიზაციის კრიტიკულ აქტივზე, ისეთი ზემოქმედებისა და უარყოფითი გავლენის მატერიალიზების ალბათობის გამოთვლას, რომელმაც შესაძლოა არასასურველი შედეგი მოუტანოს ორგანიზაციას.

რისკების განსაზღვრისას აუცილებელია მათი გაცნობიერება ბიზნეს პროცესების პერსპექტივიდან, კერძოდ:

- რა ტიპის საფრთხეები არსებობს ორგანიზაციისთვის;
- რა სახის ორგანიზაციული აქტივები საჭიროებს დაცვას;
- რამდენად დაუცველია ორგანიზაცია სხვადასხვა საფრთხეების მიმართ;
- საფრთხის დადგომის ალბათობა;
- საფრთხის დადგომის შემთხვევაში ორგანიზაციაზე გავლენის დონე;
- ორგანიზაციული გადაწყვეტილებები საფრთხის მართვის პროცესში;
- საფრთხის დადგომის ალბათობის შესამცირებლად (Mitigation);
- საფრთხის გადატანა მესამე პირზე (Transfer);
- საფრთხის აცილება (Avoidance);
- საფრთხის გაანალიზება და მიღება (Acceptance);

რისკების შეფასება გულისხმობს ბიზნეს პროცესებზე უარყოფითი გავლენის მქონე საფრთხეებისა და სისუსტეების გამოვლენას, რისკების პრიორიტიზირებას, კრიტიკული რისკებისა და ისეთი ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიზნეს კრიტიკული აქტივების (ინფორმაცია, ადამიანური რესურსი, ტექნიკური რესურსი, ა.შ.) დაცვაში.

### რისკებზე რეაგირება

#### რისკის მართვის მექანიზმები

რისკებისა და სისუსტეების დაიდენტიფიცირება/შეფასების შემდგომ აუცილებელია შემუშავდეს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია რისკების სრულად თავიდან აცილების ან მათი მინიმიზაციისაკენ.

კონტროლის მექანიზმი უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად და მისი დანერგვის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ეფექტურობა, არსებულ სისტემასთან ინტეგრაციის შესაძლებლობა, ხარჯები, ორგანიზაციული მიდგომები და პოლიტიკები, საკანონმდებლო ჩარჩო, გავლენა საოპერაციო საქმიანობაზე, ალტერნატივები, საერთაშორისო პრაქტიკა და გავრცელებული სპეციალიზებული სტანდარტები.

რისკებზე რეაგირების მიზნით სს „ჯორჯიან ქარდი“ იყენებს კონტროლის ორ ძირითად ტიპს, - აღმომჩენს და პრევენციულს. ერთის მხრივ, აღმომჩენი კონტროლის მექანიზმები მოქმედებას იწყებენ დარღვევის

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

მცდელობის დაფიქსირებისას და უზრუნველყოფენ შესაბამისი ჯგუფების ინფორმირებას შესაძლო მავნე ქმედების შესახებ. ხოლო მეორეს მხრივ, პრევენციული კონტროლის მექანიზმები ორიენტირებულნი არიან დარღვევის მომენტშივე გააუვნებელყოფონ ან ბარიერი შეუქმნან პოტენციური რისკის შემცველ ქვედებს.

კონტროლის კატეგორიები მოიცავს შემდგომ მექანიზმებს: რისკის დონის შემცირება, პოტენციური რისკის აცილება, რისკის გადატანას/გაზიარება და რისკის გაანალიზების საფუძველზე - მისი მიღება.

პრევენციული და აღმოჩენი კონტროლების შემუშავებისათვის სს „ჯორჯიან ქარდი“ აწარმოებს რისკების პროფილების შედგენასა და მათზე რეაგირების სცენარების წინასწარ დაგეგმვას. აღნიშნული სცენარები მუდმივი გადახედვისა და განახლების საგანია.

## მესამე მხარის რისკები

ორგანიზაციის საჭიროებამ - აწარმოოს საქმიანი პროცესები, მიიღოს მომსახურება ან ჰქონდეს ბიზნეს ურთიერთობა მესამე მხარესთან, შეიძლება პირდაპირი ან ირიბი სახით იქონიოს გავლენა, კომპანიაში არსებულ რისკების დონეზე. ასეთი გავლენის მაგალითებია, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების რისკი, სერვისის ხელმისაწვდომობის - საოპერაციო ან რეპუტაციული რისკი, მესამე მხარეზე გადაცემული მონაცემების არასწორი მოპყრობის - შესაბამისობის ან მარეგულირებლის რისკი. მესამე მხარესთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელია რისკების მართვის სამი მთავარი სფერო: ახალი რისკის გაჩენა, ახალი ან არსებული რისკის გაზიარება ან რისკის მართვის/რისკზე პასუხისმგებლობის სრულად გადაცემა.

ორგანიზაციაში უნდა არსებობდეს რეგულარულად განახლებადი, ისეთი მესამე მხარეების სია, რომლებიც გავლენას ახდენენ საერთო რისკის დონეზე. აღნიშნული სიის განახლება უნდა ხდებოდეს - მინიმუმ წელიწადში ერთხელ ან ნებისმიერი ახალი მხარის შემოსვლისას. ქვემოთ მოცემული სია წარმოადგენს მესამე მხარეების ტიპებს, რომელთაც პირველ რიგში უნდა მიექცეთ ყურადღება:

- აპლიკაციების დეველოპერი ან პროვაიდერები;
- სისტემების ჰოსტინგ (მონაცემთა ცენტრის) პროვაიდერები;
- მონაცემების ჰოსტინგ პროვაიდერები;
- ვებ-ჰოსტინგ პროვაიდერები;
- მონაცემების/ფიზიკური მოწყობილობების/მედია მოწყობილობების განადგურების სერვის პროვაიდერები;
- მართვადი სერვისების (IT, საოპერაციო, უსაფრთხოების) პროვაიდერები;
- სტრატეგიული ბიზნეს პარტნიორები ან კლიენტები;
- კონტრაქტორები.

მესამე მხარეებთან მიმართებაში, ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, როგორც პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების დარღვევების ხელშეკრულებების დონეზე, ისე მათი ჯეროვანი შესრულების კონტროლი.

## ცვალებადი სამართლებრივი რეგულირების გარემო

საგადახდო მომსახურების მომხმარებლის დასაცავად არამარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბებით იზრდება რეგულირების გამკაცრების მოთხოვნილება. რაც, ხშირ შემთხვევაში პირდაპირ იწვევს საგადახდო სისტემის მონაწილეთათვის საოპერაციო საქმიანობის გართულებას.

## საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებების პაკეტი ეტაპობრივად მტკიცდება ქვეყანაში და შესაბამისობაშია ევროკავშირის განახლებულ საგადახდო მომსახურების დირექტივის (The Revised Payment Services Directive (PSD2, Directive (EU) 2015/2366) ) მოთხოვნებთან.

კომპანიისათვის განსაკუთრებულად საყურადღებო და მნიშვნელოვან სიახლეებს წარმოადგენს:

ღია ბანკინგი - საბანკო ინფრასტრუქტურის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვა არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტებისათვის, რაც წახალისებს მაღალტექნოლოგიური ფინანსური სერვისების შექმნას და ამავდროულად კვლავინდებურად უზრუნველყოფს მომხმარებლების ფინანსებისა და ფინანსური ინფორმაციის დაცულობას.

მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია - წესი იმ სტანდარტებს განსაზღვრავს, რომლებიც მომხმარებელმა დისტანციური მომსახურებისას უნდა დაიცვას, კერძოდ გაიაროს ავთენტიფიკაცია ორ ან მეტ სხვადასხვა ელემენტზე დაყრდნობით, აღნიშნული რეგულირება მიმართულია საგადახდო მომსახურების მომხმარებლის დაცული ავთენტიფიკაციის უზრუნველყოფის, ასევე თაღლითობისა და სხვა უკანონო ქმედების რისკის შემცირებისაკენ, რაც, თავის მხრივ, აამაღლებს მომხმარებლების ნდობას საგადახდო მომსახურებებისა და უნაღდო გადახდების მიმართ.

## კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მიმართული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობისაკენ, სს „ჯორჯიან ქარდის“ საქმიანობას წარმართავს გენერალური დირექტორი, ვიგენ ბაღდასაროვი.

### გენერალური დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

ვიგენ ბაღდასაროვი სს „ჯორჯიან ქარდის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა 2023 წელს, თუმცა სს „საქართველოს ბანკში“ მისი მოღვაწეობა 2000 წლიდან იწყება. იგი ასევე იკავებს სს „საქართველოს ბანკის“ გადახდების მართვის დეპარტამენტის დირექტორის პოზიციას პროდუქტის განვითარების მიმართულებით.

ვიგენ ბაღდასაროვი ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერების დიპლომს.

### სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ქვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

სს „ჯორჯიან ქარდში“ პროდუქტების განვითარების მიმართულება ფუნქციონირებს ექაილის პრონციპებით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კომპანიის მომსახურებაში არსებულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა მიიღონ სწრაფი და ეფექტური მომსახურება.

კომპანიის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული შესაბამისი რესურსები.

## კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

### შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის მთავარ მიზანს წარმოადგენს პოლიტიკისა და პროცედურების შესრულების, დადგენილი სტანდარტების დაცვის, რესურსების პროდუქტიულად, ეფექტურად და ეკონომიურად გამოყენების, ამოცანების შესრულებისა და კომპანიის დასახული მიზნების მიღწევის შეფასება, ეფექტურობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების გაცემა და მენეჯმენტისათვის ანგარიშის ჩაბარება არებული რისკების მართვის, კონტროლისა და მართვის პროცესების ადეკვატურობის შესახებ.

### კომპანიის პოლიტიკები

სს „ჯორჯიან ქარდის“ პოლიტიკები შექმნილია საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

### ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განამტკიცოს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

- განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;
- ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;
- დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომფხვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;
- უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

### პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

### ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა

ინფორმაციული რესურსების გამოყენებაზე პრევენციული და დეტექციური კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ინფორმაციის არქიტექტურული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც გულისხმობს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით ინფორმაციის კლასიფიცირებას. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების დახარისხებას კონფიდენციალურობის დონის მიხედვით, წვდომისა და გამოყენების სხვა წესების შემუშავებას.

## კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა კონფიდენციალურობის ოთხ კატეგორიად, ესენია - „საჯარო“, „შიდა მოხმარების“, „კონფიდენციალური“ და „სრულიად საიდუმლო“. ინფორმაციის მართვა რეგულირდება, აღნიშნული დონეების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციის მარკირების, გადაადგილების, წვდომის მინიჭების, შენახვისა და განადგურების წესებს.

### შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

### აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

კომპანიის 99,46%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“, ხოლო აქციონერთა უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტს.

სამეთვალყურეო საბჭო კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, ისევე, როგორც აქციონერთა კრება. აქციონერი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით.

რიგითი აქციონერთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

## არაფინანსური ანგარიშგება

### ბიზნესმოდელის მიმოხილვა

სს „ჯორჯიან ქარდი“ ოფისით ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. 106 და საქონტაქტო ინფორმაციით - ტელ : 0322 317 040 / ელ. ფოსტა info@gc.ge, მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა ქ. თბილისის კრწანისის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 17 იანვრის დადგენილებით. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნულ ბანკშიც, როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორი და შესაბამისად მისი ზედამხედველობის ობიექტია. აღნიშნულ სექტორში სს „ჯორჯიან ქარდი“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგადახდო სისტემის ოპერატორს.

### ჩვენი გუნდი

სს „ჯორჯიან ქარდი“ დასაქმებულია 150-მდე თანამშრომელი. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ კომპანია მაქსიმალურად ცდილობს თანამშრომლებს შეუქმნას ეფექტური შრომის და კარიერული განვითარებისათვის საჭირო პირობები.

თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომლის გამოვლენაც ასახულია ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით.

სს „ჯორჯიან ქარდი“ იაზრებს და იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე და მათგანაც ითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

## არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

### ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე სს „ჯორჯიან ქარდი“ მიმართ არასოდეს აღმრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. ვაცნობიერებთ, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ განურჩევლად ყველას შევუქმნათ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

სს „ჯორჯიან ქარდი“ მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია. სს „ჯორჯიან ქარდის“ ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემთა კატალოგების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

**ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე** სს „ჯორჯიან ქარდი“ იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების წესებს და ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისთვის.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

### კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. მაქსიმალურად მკაცრად ფასდება ნებისმიერი ქმედება თუ ტრანზაქცია, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად კომპანია იყენებს საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

### ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - გენერალური დირექტორი.

ვიგენ ბაღდასაროვი

## არაფინანსური ანგარიშგება (გაგრძელება)

### ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე სს „ჯორჯიან ქარდის“ მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. ვაცნობიერებთ, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ განურჩევლად ყველას შევუქმნათ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

სს „ჯორჯიან ქარდი“ მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია. სს „ჯორჯიან ქარდის“ ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემთა კატალოგების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

**ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე** სს „ჯორჯიან ქარდი“ იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების წესებს და ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისთვის.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

### კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. მაქსიმალურად მკაცრად ფასდება ნებისმიერი ქმედება თუ ტრანზაქცია, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად კომპანია იყენებს საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

### ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - გენერალური დირექტორი.

ვიგენ ბაღდასაროვი